ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 26 აგვისტო, 2021 №158 (8687) ფასი: 60 თეთრი

## პრემიერი: „2 მილიონი დოზა ფაიზერის შემოტანაზე ვმუშაობთ“


გვ.3

# „ნაციონალების მიზანი 2003 წლის სცენარის განმეორება იყო“



რამაზ საყვარელიძე: „არჩევნები გადაიდება თუ არა, ოპოზიცია ამ ვადებში რეიტინგის აწევას ვერ შეძლებს“


გვ.4

## „არჩევნების შემდეგ შეიძლება მთავრობამ ლოკდაუნი გამოაცხადოს“


გვ.2

სალომე სამადაშვილი: „ჩვენი დასავლელი პარტნიორებისგან პოლიტიკური ყურადღება ამ არჩევნებთან დაკავშირებით ძალიან მაღალი იქნება“

## „ვირუსს მართავენ ისე, როგორც აწყობთ“

გვ.4



თამარ ჩხეიძე: „ცოტა მაკვირვებენ ის ოპოზიციონერი პოლიტიკოსები, რომლებიც ცოტა ხნის წინ მოითხოვდნენ ტრანსპორტის მოძრაობის გაჩერებას, ახლა კი ამბობენ, რომ გაჩერება სწორი არ არის და სატრანსპორტო საშუალებები უნდა დაემატებინათ“

## „ოპოზიციის ლიდერები ერთმანეთს უფრო მეტად ლანძღავენ, ვიდრე „ქართულ ოცნებას“

თორნიკე შარაშენიძე: „პანდემიასთან დაკავშირებით ორი საბედისწერო შეცდომა იქნა დაშვებული“


გვ.3

## ვახო სანაიაზე თავდასხმაში ბრალდებულებს მოსამართლემ 6-6 თვე მიუსაჯა

ისინი გუშინ გათავისუფლდნენ


გვ.5

ISSN 1987-9385


2 უმძიმეს მდგომარეობაში მყოფი ლევან მაისაშვილი კორონავირუსისგან განიკურნა

3 გია ვოლსკი: „საზოგადოებას გლადიატორული პოლიტიკური ბრძოლები მოსწყინდა“

4 სააკაშვილი: „არც უნდა განვიხილოთ 2 ოქტომბრის რეფერენდუმის სადმე გადადება“

5 „გოგონებს გვაგინეს, გვაფურთხეს, წიხლები გვირტყეს“ — ნიკორაში 3-მა მამაკაცმა 3 ქალი ცემა

6 ტელეარხ „დოჟდს“ უცხოეთის აგენტის სტატუსი მიენიჭა

# „არჩევნების შემდეგ შეიძლება მთავრობამ ლოკდაუნი გამოაცხადოს“

იაგო ნაცვლიშვილი

## სალომე სამადაშვილი: „ჩვენი დასავლელი პარტნიორებისგან პოლიტიკური ყურადღება ამ არჩევნებთან დაკავშირებით ძალიან მაღალი იქნება“

ჟურნალისტ ვახო სანაიას ოჯახზე თავდამსხმელები სასამართლომ პატიმრობიდან გაათავისუფლა. მათ მოსამართლემ ექვსთვიანი პატიმრობა მიუსაჯა, რომელიც გუშინ, განაჩენის გამოცხადების დღეს ამოიწურა, შესაბამისად, ისინი საპატიმროდან გათავისუფლდნენ, რამაც საზოგადოების ერთ ნაწილში უსამართლობის განცდა გააჩინა.
რამდენად მოსალოდნელი იყო ეს გადაწყვეტილება? ხედავს თუ არა პირდაპირ კავშირს არჩევნებთან და როგორია არჩევნების გადადება— არგადადების თაობაზე მისი პოზიცია? — ამ და სხვა საკითხებზე პარლამენტარი, ფრაქცია „ლელო — პარტნიორობა საქართველოსთვის“ წევრი სალომე სამადაშვილი საუბრობს.

***— ვახო სანაიაზე თავდასხმის საქმეზე სასამართლომ გამოიტანა განაჩენი. ელოდით ასეთ გადაწყვეტილებას და ხომ არ ხედავთ პოლიტიკურ კონტექსტსაც?***

— ზოგადად ჩვენ ისეთ გარემოში ვცხოვრობთ, სადაც ხელისუფლების სახელით გარკვეული ჯგუფები მზად არიან, გარკვეულ ჟურნალისტებს, ოპოზიციასა თუ სხვა პირებს გაუსწორდნენ ფიზიკურად. მსგავსი ფაქტები ვნახეთ 5 ივლისის საქმეებითაც, როდესაც არაფერი წინ არ მიდის, არავითარი გამოძიება და არავის დასჯა არ ხდება.

როგორც ჩანს, განსაკუთრებით არჩევნების წინ ხელისუფლებისთვის მნიშვნელოვანია, გაამზადოს სიგნალი, რომ იმ ხალხს, ვინც ფიზიკურად დაესხმება თავს ჟურნალისტებსა თუ ხელისუფლებისთვის არასასიამოვნო პირებს, ექნებათ შესაბამისი საფარი თუ დაცვა ხელისუფლების მხრიდან. მე ვფიქრობ, რომ სასამართლოს გუშინდელი გადაწყვეტილება ამის პირდაპირი სიგნალია.

***— ანუ პირდაპირ კავშირს ხედავთ არჩევნებსა და ამ ფაქტს შორის?***

— მე ვფიქრობ, რომ არჩევნების წინ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ხელისუფლებისთვის, აჩვენოს იმ ადამიანებს, რომლებიც მზად არიან ძალადობისთვის, რომ მათ დაიცავს „ქართული ოცნება“ და, შესაბამისად, სასამართლო.

***— ეს ის გზავნილიც ხომ არ არის, რომ 5-6 ივლისის მოვლენებზე არავითარი პოზიტიურის იმედი არ უნდა გვქონდეს?***



— დიახ, სწორედ ეს ვთქვი, მე არანაირი იმედი არ მაქვს, რომ 5-6 ივლისის მოვლენების ადეკვატური გამოძიება მოხდება.

***— ელოდებით, რომ ისინი, ვინც იმ საქმეებში ფიგურირებდნენ, ჩაერთვებიან საარჩევნო კამპანიაში და შემდეგ არჩევნებზეც?***

— ვერ გეტყვით, მაგრამ ნამდვილად არ გამოვრიცხავ, იმიტომ, რომ ეს ხელისუფლება უკვე მრავალი წელია, არჩევნებზე იყენებს ასეთ მეთოდებს. დაუსჯელი ძალადობა „ქართული ოცნების“ ხელწერაა, რომელსაც არჩევნებზე იყენებს, ამიტომ ახლაც არ უნდა გამოირიცხოს ეს და, შესაძლოა, პირდაპირ გამოყენებული იყოს ეს რესურსები არჩევნების დროს.

***— რაც შეეხება უშუალოდ არჩევნებს, ელოდებით, რომ 2 ოქტომბერს იქნება არჩევნები? სახალხო დამცველმა მოითხოვა არჩევნების გადადებაზე მსჯელობის დაწყება. თქვენი პოზიცია როგორია, უნდა გადაიდოს?***

— რაც ერთხელ უკვე ვთქვი, კიდევ ერთხელ გავიმეორებ შეფასებას ამ საკითხზე. ცხადია, გადაწყვეტილებას ამ საკითხზე მე ვერ მივიღებ. გადაწყვეტილებას ხელისუფლება იღებს და ჩემთვის მნიშვნელოვანი იქნებოდა, რომ გამართულიყო ღია მსჯელობა კომპეტენტური ხალხის თანამონაწილეობით და მოგვესმინა ყველა შესაბამისი სცენარი. მაგალითად, თუ არჩევნები გადაიდება ერთი ან ორი თვით, ეს რას ნიშნავს ეპიდემიოლოგების აზრით, ანუ მისი შემცირების თვალსაზრისით რას გვაძლევს ეს.

ის, რომ ხელისუფლება აკეთებს ასეთ რეაგირებას, რაც მან გააკეთა ამ წინადადებაზე, ეს მაშინ, როდესაც დღეში 60 ადამიანი იღუპება, კიდევ ერთხელ მარწმუნებს იმაში, რომ ხელისუფლებას ფაქტობრივად სასიკვდილოდ ჰყავს განწირული საკუთარი მოქალაქეები, არანაირი მნიშვნელობა არა აქვს მათთვის, მოისმინონ კომპეტენტური მსჯელობა, რას გამოიწვევს არჩევნების ჩატარება, რას მოგვცემდა არჩევნების გადადება ჩვენი მოქალაქეების დაცვის მიზნით. ამ დროს ხელისუფლების ამოცანაა, რომ ეს არჩევნები გამოიყენონ თავიანთ სასარგებლოდ და მაქსიმალურად დადონ შედეგი.

***— კი მაგრამ, რას მოუტანს ეს ხელისუფლებას იმ ფონზე, რაც თქვენც ახსენეთ, რომ ყოველდღიურად 60 ადამიანი იღუპება?***

— ჩემი აზრით, მათი გათვლა ასეთია, რომ პანდემიის ფონზე, შესაძლოა, ბევრმა ადამიანმა თავი შეიკავოს არჩევნებში მონაწილეობისგან, თავად ორგანიზებულად მოიყვანონ საკუთარი თავისი ამომრჩეველი. ფიქრობენ, რომ დაბალი აქტივობა ხელისუფლების სასარგებლოდ მთავრდება და გამოცდილებამ გვაჩვენა, რომ ასეც არის. როგორც ჩანს, მათი გათვლა ასეთია, რომ თუ ფონი იქნება მძიმე, აქტივობა, შესაძლოა, იყოს უფრო დაბალი, ვიდრე სხვა ვითარებაში.

***— ლოკდაუნსაც ამის გამო არ აცხადებენ, რომ არჩევნებზე ფიქრობენ?***

— ვვარაუდობ, რომ ეს ყველაფერი კავშირშია, იმიტომ, რომ ეს არის ხელისუფლება, რომელიც ზრუნავს არა ხალხის კეთილდღეობასა და სიცოცხლეზე, არამედ საკუთარ დღის წესრიგზე. არ ვიცი, როგორი პოლიტიკური ვითარება იქნება ქვეყანაში არჩევნების შემდეგ, მაგრამ, არ გამოვრიცხავ, რომ სწორედ არჩევნების შემდეგ გამოაცხადონ ე.წ. ლოკდაუნი.

***— აქციების თავიდან ასარიდებლად?***

— შესაძლოა, თუ აქციები იქნება დღის წესრიგში. გააჩნია, რა იქნება არჩევნებზე, მაგრამ, ჩემი აზრით, დღეს მათი მოტივაცია სწორედ ეს არის და, როგორც ჩანს, ძალიან აწყობთ ის ვითარება, რომელიც დღეს არის შექმნილი, ფიქრობენ, რომ ამ გზით შეძლებენ სარგებლობის მიღებას.

***— გასაგებია ხელისუფლების დღის წესრიგი, მაგრამ ოპოზიცია რას აკეთებს იმისათვის, რომ ეს ყველაფერი შეცვალოს?***

— ოპოზიციამ რა უნდა გააკეთოს?! ჩვენ არ გვაქვს ბერკეტები.

***— ამ შემთხვევაში ხელისუფლების შეცვლის მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯებს ვგულისხმობ.***

— პანდემიის მართვასა და არჩევნების თარიღის გადაწევა-გადმოწევას რაც შეეხება, ამის ბერკეტები ხელისუფლებას აქვს. ჩვენ არაფერი არ შეგვიძლია, რომ ეს ყველაფერი შევცვალოთ. ცხადია, პასუხისმგებლობა დაეკისრება ხელისუფლებას, მათ შორის იმაზეც, თუ დამძიმდება ვითარება არჩევნების შემდეგ. თუ არჩევნები არ გადაიდება და დათქმულ ვადებში ჩატარდება, მაშინ მნიშვნელოვანია, დავარწმუნოთ მოქალაქეები, რომ უსაფრთხოების ზომების დაცვით არჩევნებში მონაწილეობა უაღრესად მნიშვნელოვანია, რადგან სწორედ ეს არის გზა ხელისუფლების შესაცვლელად.

***— პერსონალურად თქვენ თუ მიიღებთ არჩევნებში მონაწილეობას და „ლელოს“ წევრობასაც ხომ არ აპირებთ?***

— არ მაქვს პარტიული აფილაცია და არ ვაპირებ, ამ არჩევნებში რომელიმე პარტიის სახელით ვიასპარეზო. იცით, რომ „ლელო — პარტნიორობა საქართველოსთვის“ არის საპარლამენტო ფორმატში თანამშრომლობა დამოუკიდებელ დეპუტატებსა და პარტია „ლელოს“ შორის. ამ ეტაპზე ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ ამომრჩეველს აქვს მრავალფეროვანი არჩევანი. კოორდინირებულია ოპოზიციის მუშაობა, იმის მიუხედავად, აყენებენ კანდიდატებს თუ არა. ამ შემთხვევაში ჩემი როლი ორი მიმართულებით მიმაჩნია მნიშვნელოვნად. ერთია საერთაშორისო ასპარეზზე ჩვენი ინტერესების დაცვა. ამაში ვგულისხმობ ჩვენ ქვეყანაში დემოკრატიული ინტერესების დაცვას, ხოლო მეორე მიმართულება ამომრჩევლის მაღალი აქტივობაა. ხელისუფლების გათვლაა, რომ მაღალი აქტივობა არ იყოს და, ვფიქრობ, ეს არის მნიშვნელოვანი ამოცანა.

***— საერთაშორისო ასპარეზი ახსენეთ და ეს ვითარება ხელისუფლებას იმიტომაც ხომ არ აძლევს ხელს, რომ საერთაშორისო დამკვირვებლები საქართველოში ჩამოსვლას მოერიდებიან?***

— სამწუხაროდ, ამ რეალობის წინაშე ვდგავართ, არ ვიცით, ამ კოვიდპანდემიის პირობებში რამდენად ეფექტიანად შეძლებენ მუშაობას საერთაშორისო მისიები. ამის მიუხედავად, ვთვლი, რომ ჩართულობა არჩევნებზე საკმაოდ მაღალი იქნება, რადგან ჩვენი დასავლელი პარტნიორებისთვის სრულიად ნათელია ამ არჩევნების მნიშვნელობა, პოლიტიკური სიმძიმე და წონა. ვფიქრობ, პოლიტიკური ყურადღება ამ არჩევნების მიმართ ძალიან მაღალი იქნება.

# გახარია: „არჩევნების გადადება „ოცნებას“ აწყობს“

პარტია „საქართველოსთვის“ ლიდერის, გიორგი გახარიას თქმით, ქვეყანაში პოლიტიკურად მოჯადოებულ წრეზე სიარული უნდა დასრულდეს.

გახარიას შეფასებით, მმართველი პარტია და ნაციონალური მოძრაობა ერთმანეთთან ქიშპობით ცარიელ პოლიტიკურ დღის წესრიგს ქმნიან.

— კეკლუცით, უპასუხისმგებლობითა და პოპულიზმით, რა თქმა უნდა, ჩვენ ვიტრიალებთ ერთსა და იმავე მოჯადოებულ წრეზე, როგორც ზოგიერთებს უნდათ, რომ გვატარონ. ამიტომ ჩვენ ვამბობთ, რომ ერთხელ და სამუდამოდ საქართველოში უნდა დასრულდეს ამ მოჯადოებულ წრეზე სიარული. ამიტომ ამ არჩევნებს აქვს უდიდესი დატვირთვა. ეს არ არის მხოლოდ და მხოლოდ მუნიციპალური არჩევნები. ეს არის არჩევნები, როდესაც თითოეულმა ჩვენგანმა უნდა დავუმტკიცოთ ჩვენ მოქალაქეებს, რომ ჩვენ შეგვიძლია დავძლიოთ ეს მოჯადოებული წრე.

მაშინ, როდესაც „ოცნება“ და ნაციონალური მოძრაობა მხოლოდ და მხოლოდ ერთმანეთის ლანძღვით და გინებით ქმნიან აბსოლუტურად ცარიელ პოლიტიკურ დღის წესრიგს. მაშინ, როდესაც მმართველი ძალა დღეს ცდილობს მხოლოდ და მხოლოდ ერთი მიზნის მიღწევა, შეინარჩუნოს ძალაუფლება, მეორე მხრიდან ნაციონალური მოძრაობა ცდილობს შეინარჩუნოს მთავარი ოპოზიციური ძალის სტატუსი, სინამდვილეში არც ერთს აღარ შესწევს იმის ძალა, რომ ღირსეულად მართოს ქვეყანა და არც მეორეს — იყოს



ღირსეული ოპოზიციონერი, — განაცხადა გიორგი გახარიამ.

მისი თქმით, ამ ორ დიდ მოთამაშეს შორის რაღაც სახის გარიგებები ხდება, არჩევნების გადადებაზე საუბარი კი უპასუხისმგებლობაა,

— სამწუხაროდ, ბოლო პერიოდში ჩნდება გარკვეული, გონივრული ეჭვები, რომ ორ დიდ მოთამაშეს შორის რაღაც სახის გარიგებები ხდება. მთავრობისა და მმართველი ძალის პირდაპირი ვალდებულებაა, რომ პანდემია მართოს ისე, რომ ნაკლები ზიანი მიაყენოს როგორც ეკონომიკას, ასევე პოლიტიკური პროცესი ქვეყანაში გაჩერებული არ იყოს.

არჩევნებამდე ჯერ საკმაო დროა, მთავრობამ საბოლოო ჯამში, კეკლუცობას თავი დაანებოს და საქმეს მიხედოს. შესაბამისად, შესაძლებელი გახდეს არჩევნების უსაფრთხო გარემოში ჩატარება. დღეს არჩევნების გადადებაზე საუბარი უპასუხისმგებლობაა. სიმართლე თუ გინდათ, დღეს თუ ვინმეა არჩევნების გადადებით დაინტერესებული ეს „ქართული ოცნებაა“, — განაცხადა გახარიამ.

# ცესკოს თავმჯდომარე სახალხო დამცველს შეხვდა

ცესკოს თავმჯდომარე გიორგი კალანდარიშვილი სახალხო დამცველს ნინო ლომჯარიას შეხვდა.

ცესკოს ინფორმაციით, გიორგი კალანდარიშვილმა და ნინო ლომჯარიამ 2021 წლის არჩევნებისთვის რამდენიმე პრიორიტეტულ თემაზე იმსჯელეს.

როგორც ცესკოში აღნიშნავენ, 2 ოქტომბრის არჩევნების უსაფრთხოების საკითხი, ხმის დათვლის პროცესის ვიდეო მონიტორინგის წესის განსაზღვრა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მონაწილეობა არჩევნებში, საჩივრების ელექტრონულად წარდგენის მნიშვნელობა — ეს იმ თემების არასრული ჩამონათვალია, რომლებიც გუშინდელ შეხვედრაზე განიხილეს.

ცესკოს ცნობითვე, მათთან ერთად მსჯელობაში ჩართული იყვნენ ცესკოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე გიორგი სიორიძე და სახალხო დამცველის წარმომადგენელი ლიკა წიკლაური.

„გიორგი კალანდარიშვილმა დეტალურად ისაუბრა პანდემიის პირობებში არჩევნების უსაფრთხოდ ჩატარებასთან დაკავშირებით ცესკოს მიერ მიღებული კენჭისყრის



დღის ეპიდემიოლოგიური პროტოკოლის შესახებ.

საუბარი ასევე შეეხო სამკურნალო დაწესებულებებსა და იზოლაციაში მყოფი ამომრჩევლების 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილეობის საკითხს.

მნიშვნელოვანია, რომ ცესკომ აღნიშნული სამართლებრივი აქტები, რომლებიც ჯანმრთელობის უსაფრთხოების ნორმებს არეგულირებს, სადამკვირვებლო ორგანიზაციებთან და პოლიტიკურ პარტიებთან თანამშრომლობით განაახლა“, — ნათქვამია ინფორმაციაში.

# უმძიმეს მდგომარეობაში მყოფი ლევან მაისაშვილი კორონავირუსისგან განიკურნა

საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი ლევან მაისაშვილი გამოჯანმრთელდა. ინფორმაციას „ქართული და საერთაშორისო რაგბი“ სოციალურ ქსელში ავრცელებს.

„საქართველოს რაგბის კავშირში დაგვიდასტურეს, რომ „ბორჯღალოსნების“ თავკაცის სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა.

მაისაშვილი ჯერჯერობით კვლავ რჩება იოჰანესბურგის კლინიკაში, თუმცა ის კონტაქტურია და სტაბილურ მდგომარეობაშია.

შეგახსენებთ, რომ ლევან მაისაშვილი კორონავირუსით სამხრეთ აფრიკაში დაინფიცირდა, სადაც საქართველოს ნაკრები 3 ივლისს მსოფლიო ჩემპიონს შეხვდა, ხოლო 10 ივლისს გასამართი ტესტ-მატჩი გუნდებში კოვიდის გავ-



რცელების გამო გაუქმდა. მაისაშვილი ერთ თვეზე მეტია, რაც იოჰანესბურგის კერძო კლინიკაში მკურნალობს და ამ პროცესში თავიდანვე ჩართულნი არიან საქართველოს ელჩი ბექა დვალი და სამხრეთ აფრიკაში მოღვაწე ქართველი ექიმი ვახტანგ რეხვიაშვილი.

ლევანის მდგომარეობა რამდენიმე კვირის განმავლობაში კრიტიკულად მძიმე იყო, თუმცა, საბედნიეროდ, „ბორჯღალოსნების“ მთავარი მწვრთნელის მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა და დადებითი დინამიკა ყოველდღიურად შეინიშნება.

ლევანს სწრაფ რეაბილიტაციას, საქართველოში მალე დაბრუნებასა და საყვარელი საქმიანობის რაც შეიძლება მალე განახლებას ვუსურვებთ!“ — ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი

საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ოპოზიციის ლიდერები ერთმანეთს უფრო მეტად ლანძღავენ, ვიდრე „ქართულ ოცნებას“

## თორნიკე შარაშენიძე: „პანდემიასთან დაკავშირებით ორი საბედისწერო შეცდომა იქნა დაშვებული“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში თორნიკე შარაშენიძე პასუხობს.**

***– ბატონო თორნიკე, ბოლო ორი დღეა, ოპოზიცია არჩევნების გადადებაზე ალაპარაკდა, რაზეც ხელისუფლება პასუხობს, რომ ეს არის საბოტაჟი ოპოზიციის მხრიდან, ისედაც სურდათ, ბოიკოტი გამოეცხადებინათ არჩევნებისთვის და ახლა პანდემიას იმიზეზებენო. რას ფიქრობთ თქვენ ამ ყველაფერზე?***

– ყველაფერი ძალიან მარტივად გასაგებია. ოპოზიციამ დააგვიანა საარჩევნო კამპანიის დაწყება. სამწუხაროდ, მთელი ზაფხული გავიდა კინკლაობებში და საარჩევნო კამპანია არ დაუწყიათ. ერთ თვეში კი პრაქტიკულად შეუძლებელია, ისეთი საარჩევნო კამპანია ჩაატარონ, რომ „ოცნებას“ გაუსწრონ, თუნდაც 43%-ზე ნაკლები რომ აიღოს „ოცნებამ“.

***– თქვენ ფიქრობთ, რომ ეს არის რეალური მიზეზი და არა პანდემია?***

– პანდემია, კი, პრობლემაა ნამდვილად, მაგრამ, შარშან რომ საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა და ოპოზიციაც მონაწილეობდა მასში, მაშინაც ხომ იყო პანდემია?! ხელისუფლება საზოგადოებასთან ერთად უნდა დააკვირდეს ვითარებას ქვეყანაში, თუ პანდემიამ იმატა, მაშინ შეიძლება გადადება მაქსიმუმ ერთი-ორი თვით. საკითხავი ის არის, ეს ერთი-ორი თვე რამდენად მისცემს ოპოზიციას შანსს, რომ წარმატებას მიაღწიოს არჩევნებში? რთული სათქმელია, ასე მარტივი არ იქნება. ოპოზიციას რომ ვუყურებ, ძალიან მიკვირს, აქამდე რატომ არ დაიწყეს საარჩევნო კამპანია.

***– რა იყო მიზეზი? თავიდანვე ეს ჩანაფიქრი ჰქონდათ?***

– არ ვიცი. ნამდვილად არ მგონია, რომ პანდემიის აფეთქებას ელოდებოდნენ. მთლიანობაში, რაც დღეს ხდება, გამოწვეულია იმით, რომ „ოცნება“ წავიდა მესამე ვადაზე, რაც იყო ყველასთვის მოულოდნელი. შესაძლოა, ეს „ოცნების“ ამომრჩევლის ნაწილისთვისაც მოულოდნელი იყო. აქედან გამომდინარე, „ოცნებას“ აქვს სერიოზული პრობლემები, რადგან საზოგადოება მიუჩვეველია, რომ ვიღაც მესამე ვადით დარჩა. ამას ემატება ისიც, რომ საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით კითხვები ისევ არსებობს, ამ ფონზე კი ოპოზიცია ცდილობს, მაქსიმალურად შეარყიოს „ოცნება“. ჩვენ რასაც ახლა ვუყურებთ, ამ დაუსრულებელ პოლიტიკურ კრიზისს, ეს არის სწორედ „ოცნების“ მესამე ვადით გამოწვეული. ოპოზიცია მაქსიმალურად ცდილობს, შეარყიოს ხელისუფლება, ამიტომაც ხან ბოიკოტზეა საუბარი, ხან ვადამდელზე და ხან არჩევნების გადაწევაზე. ამ მხრივ შეიძლება ითქვას, რომ ოპოზიცია ძალიან არათანმიმდევრულია.

***– გამუდმებით ვადამდელზე საუბრობდა და ახლა გადადებას ითხოვს?***

– სწორედ ეს ვიგულისხმე მის არათანმიმდევრულობაში. ხან ვადამდელი, ხან ბოიკოტი. ძალიან არათანმიმდევრულია. ოპოზიციის ამ არათანმიმდევრულობას სათავისოდ და კარგად იყენებს ხელისუფლება. ამას ემატება ოპოზიციის დაქსაქსულობა. რასაც მე სოციალურ ქსელებს შიგნით ვუყურებ, იმაზე მეტად ლანძღავენ ოპოზიციის ლიდერები ერთმანეთს, ვიდრე „ქართულ ოცნებას“. აი, ეს ორი პრობლემაა, რითაც მშვენივრად სარგებლობს ხელისუფლება. მთელი ამდენი პრობლემის მიუხედავად, რაც ახლავს „ქართული ოცნების“ მმართველობას, ამ ფონზე ის მაინც ახერხებს ხელისუფლებაში დარჩენას. ეს სწორედ ოპოზიციის დამსახურებაა.

***– ამ ყველაფრის მიუხედავად, ნაცმოძრაობამ დაიწყო წინასაარჩევნო კამპანია, წარადგინეს საერთო კანდიდატები, ახლა რა შეიცვალა? ხვდებიან, რომ წააგებენ არჩევნებს?***

– თავის დროზე ნიკა მელიას ჰქონდა ძალიან ჭკვიანური ინტერვიუ, სადაც თქვა, რომ ადგილობრივ არჩევნებში ხელისუფლების დამარცხების შანსი კიდევ უფრო მცირეა, ვიდრე საპარლამენტო არჩევნებში ძალიან მარტივი მიზეზის გამო. ეს გასაგებია, ხალხი არ მიდის ადგილობრივ არჩევნებზე და, შესაბამისად, ხდება ადგილობრივი რესურსის მობილიზება მმართველი პარტიის მიერ. აქ ისევ საქმე გვაქვს არათანმიმდევრულობასთან.

***– რას გულისხმობთ?***

– მელიამ ეს განცხადება გააკეთა, თუმცა, ამის მიუხედავად, ვილაცებმა ეს არჩევნები გამოაცხადეს რეფერენდუმად. მერე „ოცნება“ მოიქცა ძალიან ცბიერად და ამ არჩევნებს გამოაცალა რეფერენდუმი იმით, რომ გავიდა შარლ მიშელის დოკუმენტიდან. ამის საპასუხოდ მერე სააკაშვილმა თქვა, რომ ჩამოვა, მისი მიზანი ის არის, რომ ამ არჩევნებს დაუბრუნოს აქტუალურობა და ისევ რეფერენდუმად აქციოს. ამ სიტუაციიდან გამომდინარე, ამ ყველაფრის გათვალისწინებით, უკვე ძალიან მიჭირს, ვიმსჯელო, ოპოზიცია რა სქემას მიჰყვება. როგორც ჩანს, არც ნაცმოძრაობას და არც დანარჩენ ოპოზიციას ეს სქემა დალაგებული არა აქვთ. შიგნით სერიოზული წინააღმდეგობები აქვთ და სულაც არ მიკვირს, რაც ახლა ხდება.

***– ვისმენთ ასეთ შეფასებებსაც, რომ „ოცნება“ იმიტომ არ გადადებს არჩევნებს, პანდემიით დაშინებული ხალხი არ მივა და ეს ძალიან აწყობსო. ასეა?***

– მე კი მგონია, ხალხი იმიტომ არ მივა, რომ ეს ადგილობრივი არჩევნებია, თორემ პანდემია შარშანაც იყო. ხალხი აქტიურად მივიდა და რიგები იდგა საარჩევნო უბნებთან. აქ პანდემიაზე მეტად ადგილობრივი არჩევნების სპეციფიკაა, რაც მმართველ პარტიას აძლევს უპირატესობას.

***– ვადამდელი არჩევნების საკითხი დაიხურა?***

– არა, ასე სულაც არ ვფიქრობ. ქვეყანაში მძიმე ვითარებაა. შესაძლოა, ხელისუფლება შევიდეს პოლიტიკურ კრიზისში. ძალიან დიდი რისკების წინაშე დგას ქვეყანა. ეს არის იგივე პანდემია, ეკონომიკა, კიდევ უამრავი სხვა თემაა, რომლებმაც, შესაძლოა, სერიოზული კრიზისი გამოიწვიოს. როდის რა თემა აგვიფეთქდება, არავინ იცის. შესაძლოა, ამ არჩევნებთან აღარ არის მიბმული ვადამდელი არჩევნების საკითხი, თუმცა, ნუ გამოვრიცხავთ, რომ ამის აუცილებლობა ნებისმიერ წუთს დადგეს, მაგრამ ამ შემთხვევაშიც რამდენად შედეგის მომტანი იქნება ეს ოპოზიციისთვის, მიჭირს ამის თქმა.

***– რატომ არის ასეთ ცუდ დღეში ოპოზიცია, ასე სად შეეშალათ?***

– ჩვენთან ხელისუფლების შეცვლა ხდება ოპოზიციის სრული ერთობით. ეს წინა წლებმაც კარგად გვაჩვენა. დღეს კი ოპოზიციის ერთობა არანაირად არ მოხერხდა, ვინაიდან ბევრი თვლის, რომ სააკაშვილთან გაერთიანება არის წაგების რეცეპტი. ბევრი ამის გამო არ ერთიანდება მასთან და თავის თამაშს თამაშობს. ეს თამაში, როგორც წესი, არის განწირული და ეს ყველაფერი საბოლოო ჯამში სიტუაციას ალაგებს ისევ „ოცნების“ სასარგებლოდ.

***– „ოცნებასაც“ აწყობს, რომ მიშა და ნაცმოძრაობა სულ აქტუალური იყოს?***

– რა თქმა უნდა, სააკაშვილიც უსრულებს ამ სურვილს და სულ აქტიურია. ყველა ეს სქემა საბოლოო ჯამში ლაგდება „ოცნების“ სასარგებლოდ, მიუხედავად იმისა, რომ მათ მმართველობას უამრავი ხარვეზი აქვს. ვხედავთ კიდეც, როგორ მართავენ პანდემიას.



***– ხელისუფლების მიერ პანდემიის მართვა კრიტიკას ვერ უძლებსო. ურთულეს მდგომარეობაშია ჯანდაცვა. სად დაუშვეს შეცდომები, რატომ გვაქვს ასეთი სავალალო შედეგი?***

– ჩემი აზრით, საბედისწერო შეცდომა იყო ორი. ერთი ის, რომ დაგვიანდა ვაქცინის შემოტანა, ოღონდ, არ ვიცი, ეს რამდენად არის ამ ხელისუფლების კაბინეტის კისერზე. შესაძლოა, წინა მინისტრთა კაბინეტის კისერზე იყოს. მეორე და უმძიმესი შეცდომა, რომელიც მართლა მათ კისერზეა, არის ის, რომ რეგულაციები შეამსუბუქეს. როცა იცი, რომ ხალხის დიდი ნაწილი მაინც დადის ქეიფებსა და ქელეხებში, როცა იცი, რომ ერთი სული აქვთ, მოიხსნან პირბადე და ასე შემდეგ, კიდევ არ უნდა წაახალისო რეგულაციების მოხსნით. როცა ისედაც ამდენი ანტივაქსერი გამოჰყავთ ტელევიზიით და ათას სისულელეზე ალაპარაკებენ, შენ, სახელმწიფო, რატომღა უწყობ შენი გადაწყვეტილებით ხელს ამ ყველაფერს, შენ ხომ მეტი პასუხისმგებლობა გმართებს! ის, რა სიტუაციაც დღეს შეიქმნა, ყველას კისერზეა, ხელისუფლების – ამ თავისი შეცდომებით, ზოგიერთი მედიასაშუალების – ანტივაქსერების პოპულარიზაციისთვის, რიგითი მოქალაქეების – იმის გამო, რომ დარბოდნენ ქორწილებსა და ქელეხებში, ოპოზიციის – რომლის ნაწილი სპეციალურად არღვევდა კომენდანტის საათს და ღამე ტაშ-ფანდურს მართავდა. მოკლედ, ყველას უპასუხისმგებლობამ მიგვიყვანა აქამდე. საბოლოო ჯამში კი მეტი პასუხისმგებლობა მთავრობაზეა. მას არ უნდა მოეხსნა რეგულაციები.

# „საზოგადოებას გლადიატორული პოლიტიკური ბრძოლები მოსწყინდა“



საზოგადოებას პოლიტიკური პარტიების გლადიატორული პოლიტიკური ბრძოლები მოსწყინდა – საერთოდ არ არსებობდა ვაქცინა, როცა პოლიტიკური ცხოვრება გრძელდებოდა და მიმდინარეობდა.

ამის შესახებ ჟურნალისტებთან პარლამენტის პირველმა ვიცესპიკერმა გია ვოლსკიმ განაცხადა.

როგორც მან აღნიშნა, სახალხო დამცველის მიერ არჩევნების ჩატარების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით გაკეთებული განცხადებები იმეორებს იმ პოსტულატს, რომელიც ნაციონალურ მოძრაობას აქვს.

– საინტერესო განცხადებები მოვისმინეთ არჩევნების გადადებასთან დაკავშირებით, მათ შორის, ჩვენი ოპონენტების რიგებიდან, თითქოსდა ჩვენ გვაწყობს გადადება, ჩვენ თვითონ ვერ ვამბობთ და ამის დავალება მივეცით გარე სპიკერებს, რაც აბსურდია.

საზოგადოებას პოლიტიკური პარტიების პოლიტიკური განწყობები, ერთმანეთთან დაპირისპირება და ეს გლადიატორული პოლიტიკური ბრძოლები მოსწყინდა, დაიღალა, რადგან ყველამ კარგად იცის, რომ საერთოდ არ არსებობდა ვაქცინა, როცა პოლიტიკური ცხოვრება გრძელდებოდა და მიმდინარეობდა, თუნდაც, მოვიგონოთ აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნები და პოლიტიკური ცხოვრებისთვის ამას ხელი არ შეუშლია.

ტრაგიკული და უმძიმესია მდგომარეობა მთელ მსოფლიოში, მაგრამ პოზიტიური ტენდენციები შეიმჩნევა და, რაც მთავარია, საარჩევნო რეგულაციები გაცილებით უფრო მძლავრია კონტროლისთვის და მართვისთვის, ვიდრე ქაოტური სიტუაციის შექმნა და გაურკვევლობაში და საგანგებო ვითარებაში სიტუაციის გადაგდება, როცა ეკონომიკაც საკმაოდ მძიმე დარტყმებს იღებს ყოველდღიურად.

ასე რომ, სახალხო დამცველის განცხადებებში იკითხება ერთი რამ, რომ თითქოს ის პოლიტიკა, ის სტრატეგია და პოსტულატი, რასაც ნაცმოძრაობა ავითარებს, რომ ადამიანების სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე არ ზრუნავენ ხელისუფლებაში, ეს არის გამეორებული. რეალურად ამის საფუძველი არ არსებობს.

მე მაგონდება შეტევები მაშინ, როცა ლოკდაუნი ცხადდებოდა, ექიმებზე შეტევები, სახელმწიფო სტრუქტურებზე. ხან ჩაკეტვაა კარგი, ხან ჩაკეტვა არის მტრული ნაბიჯი, როგორ კონიუნქტურაშია პოლიტიკური ინტერესი, იმ ინტერესით არის განცხადებები გაკეთებული. ახლახან გამოქვეყნდა კიდეც ძველი ჩანაწერი, როგორ მოგვიწოდებენ ყველა ერთად, რომ გავხსნათ ქვეყანა, დღეს სხვა პოლიტიკური დაკვეთაა და ამ დაკვეთის შესრულებაზე არის ორიენტირებული გარკვეული პირების განცხადებები, მათ შორის, სახალხო დამცველისაც, თუმცა მე არ შემიძლია დაზუსტებით ვილაპარაკო, რომ ის გინდა თუ არა პოლიტიკურ შეკვეთას ასრულებს, შეიძლება მართლაც ასეთი აქვს პოზიცია და შეხედულება, – განაცხადა გია ვოლსკიმ.

# გაბუნია: „წინა არჩევნების შემდეგ იყო ძალიან მაღალი მობილობა“



ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე თამარ გაბუნიას განცხადებით, გასულ წელს არჩევნების შემდეგ მობილობის ზრდა ქუჩის აქციებს უკავშირდება. მისივე თქმით, შესაძლებელია, არჩევნები რეგულირებად გარემოში ჩატარდეს.

– წინა არჩევნების შემდეგ იყო ძალიან მაღალი მობილობა, რაც უკავშირდებოდა ქუჩის აქციებს. ეს იყო მთავარი ბუსტერი იმ შემთხვევაში ეპიდემიის გავრცელების. ეპიდემიის შემთხვევაში ის მობილობა, რომლის კონტროლი შესაძლებელია და რა გარემოშიც წესის დაცვა ხერხდება, ნაკლებად საშიშია, თუმცა უკონტროლო აქციების პირობებში მაღალი ინფექციის გავრცელების რისკია, – თქვა გაბუნიამ.

სახალხო დამცველ ნინო ლომჯარიას განცხადებით, არსებული ეპიდემიოლოგიური ვითარების გათვალისწინებით, უნდა დაიწყოს მსჯელობა თვითმმართველობის არჩევნების გადადების საკითხზე. მისივე თქმით, წინა წლის მსგავსად, მოსალოდნელია, რომ არჩევნების შემდეგ ინფიცირებულთა რაოდენობა გაიზარდოს.

# პრემიერი: „2 მილიონი დოზა ფაიზერის შემოტანაზე ვმუშაობთ“

– ჩვენ შემოვიტანეთ ვაქცინები, შემოტანილი გვაქვს მილიონობით ვაქცინა, კიდევ ვამატებთ ჩემი დავალებით, ვმუშაობთ 2 მილიონი დოზა ფაიზერის კიდევ შემოტანაზე, გვაქვს საშუალება და თუ საჭირო გახდება, კიდევ შემოვიტანთ ჩინურ ვაქცინებს, ეს ყველაფერი ჯამში მოგვცემს საშუალებას, ეს განსაცდელი ყველამ ერთად გადავტეხოთ.



ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მესტიაში, „ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატის წარდგენისას განაცხადა.

მთავრობის მეთაურის თქმით, პროგნოზის მიხედვით, ოქტომბერში ვითარება დასტაბილურდება.

– ამ ტემპების შენარჩუნებით, ჩვენ შეგვიძლია, სექტემბრის ბოლოს 2 მილიონი ადამიანი იყოს აცრილი. ვუსმენ რა ჩვენს ექიმებს და სპეციალისტებს, მესმის, რომ შესაძლოა, 1 მილიონ ადამიანს უკვე გადატანილი აქვს კოვიდი. ჯამში გამოდის 3 მილიონი ჩვენი თანამოქალაქე, საიდანაც 2 მილიონი იქნება აცრილი, მილიონს გადატანილი ექნება კოვიდი. ჩვენი ეპიდემიოლოგები გვეუბნებიან, რომ სექტემბერი იქნება ყველაზე დიდი გამოწვევა ჩვენთვის და ჯანდაცვის სისტემისთვის, სექტემბერი იქნება რთული პერიოდი. ამას ემატება საარჩევნო კამპანია.

რომ არ მივცეთ ამ მავნებლებს საარჩევნო კამპანიის ჩატარების საშუალება, ისინი დაიწყებენ აჟიოტაჟს, სპეკულაციას, ისედაც იციან, რომ მარცხდებიან, ძალიან მაგრად მარცხდებიან, ამიტომ ოქროს შუალედის პოვნა დაგვჭირდება. ჩვენ ყველამ ერთად სექტემბერიც უნდა ჩავამთავროთ, ვაქცინაცია ჩავატაროთ ეფექტიანად, არჩევნები ჩავატაროთ კოვიდუსაფრთხოდ და ჩვენი პროგნოზებით, ოქტომბერი იქნება სტაბილურობის პერიოდი.

რაც მთავარია, ეს მოგვცემს საშუალებას, ჩვენი ეკონომიკა არ დავკეტოთ და ჩვენი ათასობით მოქალაქე არ გამოვკეტოთ სახლში შემოსავლის და სარჩოს გარეშე. მინდა, ეს ყველაფერი ჩვენს მოსახლეობამდე მივიტანოთ, ჩვენი ხედვა ვაჩვენოთ. სექტემბერი ერთად, ბოლომდე, ძლიერად უნდა გავიაროთ, ვაქცინაცია ჩავატაროთ, გავზარდოთ ტემპები, ეკონომიკა არ უნდა დავკეტოთ, შეიძლება ლოკალური შეზღუდვები შემოვიღოთ, მაგრამ ეს არ უნდა შეეხოს მთლიანად ეკონომიკის ზრდის ტემპს, – აღნიშნა პრემიერმა.

მიმდინარეობს მუშაობა კიდევ 2 მილიონი დოზა ფაიზერის შემოტანაზე.

– ჩვენ შემოვიტანეთ ვაქცინები, შემოტანილი გვაქვს მილიონობით ვაქცინა, კიდევ ვამატებთ ჩემი დავალებით, ვმუშაობთ 2 მილიონი დოზა ფაიზერის კიდევ შემოტანაზე, გვაქვს საშუალება და თუ საჭირო გახდება, კიდევ შემოვიტანთ ჩინურ ვაქცინებს, ეს ყველაფერი ჯამში მოგვცემს საშუალებას, ეს განსაცდელი ყველამ ერთად გადავტეხოთ, – განაცხადა ღარიბაშვილმა.

# „ნაციონალების მიზანი 2003 წლის სცენარის განმეორება იყო“

## რამაზ საყვარელიძე: „არჩევნები გადაიდება თუ არა, ოპოზიცია ამ ვადებში რეიტინგის აწევას ვერ შეძლებს“

ნათია ხურცილავა

**პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**



***– ბატონო რამაზ, სახალხო დამცველის ინიციატივა არჩევნების გადადებაზე ხელისუფლებამ ნაციონალური მოძრაობის მაშველ რგოლ განცხადებად აღიქვა. ვის უფრო აწყობს დღეს არჩევნების გადადება?***

– თუ არჩევნები გადაიდება, ეს იქნება აღქმული, რომ ოპოზიციის მოთხოვნით გადაიდო არჩევნები. ოპოზიცია ზრუნავს მოსახლეობაზე. თუ არ გადაიდო, ესეც დაარტყამს ხელისუფლებას. აღქმა იქნება, რომ „ქართულ ოცნებას“ არ აღელვებს ადამიანების ბედი. მას მხოლოდ საკუთარი მომავალი ადარდებს. ორივე შემთხვევაში ეს იდეა ოპოზიციის სასარგებლოდ უფრო გამოიყურება.

გადაიდება თუ არ გადაიდება, ოპოზიცია ამ ვადებში ვერ შეძლებს რეიტინგის აწევას. შედეგების თვალსაზრისით ეს დიდ პროცენტებს ვერ მოუტანს ოპოზიციას.

თუკი საგანგებო მდგომარეობას გამოაცხადებს ხელისუფლება და ამ გზით გადადებს არჩევნებს, ეს შეიძლება ძალიან საინტერესო ხელჩასავლები აღმოჩნდეს ოპოზიციისთვის.

***– რას გულისხმობთ?***

– ამ შემთხვევაში მათ შეეძლებათ, მთელი დასავლეთი შეძრან, რომ ხელისუფლებამ საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა პოლიტიკური მოტივაციით. ამდენად, არჩევნების გადადების ბოლოდროინდელ რიტორიკაში მოტივები იძებნება, თვითონ გადადებაში კი არანაირი მოტივი არ იქნება.

***– თუმცა ასეთ დამძიმებულ ეპიდსიტუაციაში არჩევნებზე მისული ამომრჩევლის გადაწყვეტილება უარყოფითად ხომ არ აისახება ხელისუფლებაზე? გაბრაზებული ამომრჩეველი შეიძლება ძალიან „ძვირად“ დაუჯდეს „ოცნებას“.***

– თქვენ ახლა ადამიანების განწყობებზე საუბრობთ და ეს განწყობები სრულიად ბუნებრივია იმ ფონზე, როდესაც ყოველდღე ამდენი ადამიანი იღუპება. ამ ვერსიას მე მეორესაც დავამატებ: გაუარესებული ეპიდსიტუაცია, რა თქმა უნდა, შიშს იწვევს. შეშინებული ადამიანი შეიძლება საერთოდ არ წავიდეს არჩევნებზე. მე არ გამოვრიცხავ, რომ შიშის გამო არჩევნებზე არწასულთა შორის უფრო მეტი „ქართული ოცნების“ ამომრჩეველი იყოს. ოპოზიციისა და ნაციონალური მოძრაობის გაბრაზებული ამომრჩეველი ამ შანსა ხელიდან არ გაუშვებს და ის ყველაფრის ფასად წავა არჩევნებზე.

რა თქმა უნდა, ეპიდსიტუაციიდან გამომდინარე არსებული ეს განწყობები არჩევნების სურათს შეცვლის, თუმცა აქ ერთი ფაქტორია გასათვალისწინებელი: არჩევნებამდე ერთი თვეა დარჩენილი. ამ ერთ თვეში თუ მოხერხდა დაინფიცირებულთა და გარდაცვლილთა მაჩვენებლების კლება, ასევე, თუ კიდევ უფრო მოიმატა ვაქცინაციის ტემპმა, სავარაუდოა, რომ სურათი შეიცვალოს. ცხადია, ვგულისხმობ არჩევნების სურათს.

***– მაშინ, ვაქცინაციის პროპაგანდა უნდა აწარმოოს ხელისუფლებამ, უნდა გამოიჩინოს მეტი ძალისხმევა, რომ არ იყოს დაინფიცირების, გარდაცვალების ასეთი მაღალი მაჩვენებლები. მთავრობა გააკეთებს რამეს ამ მიმართულებით?***

– რაც შეეხება ვაქცინაციის პროპაგანდას, არ უნდა იყოს ადამიანის უფლებების შეზღუდვა ამ პროპაგანდაში, თუმცა ინგლისი მახსენდება, რომელიც ნამდვილად დემოკრატიის ერთ-ერთი სამშობლოა. იქ ვაქცინაციის სერიოზული პროპაგანდა იყო. კაფეში, ტრანსპორტში, სამსახურში შეზღუდვები. ეს არის იძულების გზები, მაგრამ მართლაც არ არის ჩვეულებრივი მდგომარეობა სამყაროში, რომ მხოლოდ დემოკრატიის ნორმების დაცვით დატკბე და არ დაიცვა ადამიანის სიცოცხლე.

***– გია ვოლსკი აცხადებს, რომ საზოგადოებას გლადიატორული პოლიტიკური ბრძოლები მოსწყინდა. საერთოდ არ იგრძნობა, რომ ერთ თვეში არჩევნებია. რით ხსნით თქვენ ამას?***

– როდესაც დიდი უბედურება ტრიალებს ასეთი მცირერიცხოვანი ერისთვის, როდესაც ასეთი მაღალია ყოველდღიური მსხვერპლი, რაც კოვიდს მოაქვს, რასაკვირველია, რაღაცები გვერდით იწევს. ეს რაც შეეხება წმინდა ადამიანურ ემოციას.

რაც შეეხება პოლიტიკურ ნაწილს, ვოლსკის რომ დავესესხო, გლადიატორთა ბრძოლა აზარტული და საინტერესო უნდა იყოს. ბრძოლა მაშინ არის საინტერესო, როდესაც მებრძოლები თანაბარი წონისა არიან.

***– რატომ ვერ შეძლო ოპოზიციამ, ამომრჩევლისთვის უფრო საინტერესო ყოფილიყო?***

– ოპოზიცია არ იყო თანმიმდევრული. ის გზადაგზა ცვლიდა მიზანს, ტაქტიკას, სტრატეგიას. ნაციონალურ მოძრაობას დასახული ჰქონდა მიზანი, რომლის მიღწევაც გამორიცხული იყო. არ გამოვრიცხავ, ეს იყო 2003 წლის განმეორება, რევოლუციური სცენარი. ამ სცენარში მათ დასავლეთში მხარდამჭერები ვერ იპოვეს. ვერც ადგილზე იპოვეს მხარდამჭერები. დღეს საქართველოს მოქალაქეს არ უნდა რევოლუცია. მას განვითარება უნდა.

# „ვირუსს მართავენ ისე, როგორც აწყობთ“



**ქვეყანაში რჩება მძიმე ეპიდემიოლოგიური სიტუაცია. ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დისიდენტსა და დეპუტატს თამარ ჩხეიძეს.**

## თამარ ჩხეიძე: „ცოტა მაკვირვებენ ის ოპოზიციონერი პოლიტიკოსები, რომლებიც ცოტა ხნის წინ მოითხოვდნენ ტრანსპორტის მოძრაობის გაჩერებას, ახლა კი ამბობენ, რომ გაჩერება სწორი არ არის და სატრანსპორტო საშუალებები უნდა დაემატებინათ“

მარიამ მჭედლიშვილი

***– მძიმე ეპიდსიტუაციის გამო ადამიანები აკრიტიკებენ ხელისუფლებას. ბევრი ამბობს, რომ ხელისუფლება ვერ მართავს პანდემიას. თქვენ რას ფიქრობთ ამაზე?***

– არ ვფიქრობ, რომ ხელისუფლება ამ სფეროში თავმოუბმელი და უუნაროა. სულაც არა. ხელისუფლება მართავს ვირუსს ისე, როგორც თვითონ აწყობს. ყოველთვის ვიყავი, ვარ და ვიქნები სრული ლოკდაუნის მოწინააღმდეგე. ეპიდემიას აუცილებლად წინ უნდა აღუდგე, ოღონდ, სამედიცინო, სანიტარიული მეთოდებით და არა მკაცრი ეკონომიკური შეზღუდვებით. ეკონომიკის ნგრევა უფრო ავითარებს დაავადებებს.

***– რა გაქვთ მხედველობაში?***

– დანგრეულ და მოშლილ ეკონომიკას თან ახლავს დიდი სიდუხჭირე და ფსიქოლოგიური პრობლემები. ეს კი თავისთავად აქვეითებს ადამიანების იმუნიტეტს და კარგ ნიადაგს ქმნის ნებისმიერი ავადმყოფობის გავრცელებისათვის. პანიკა არასდროს ყოფილა ეპიდემიის დამარცხების ხელშემწყობი. იმისთვის, რომ ასეთი მძიმე მდგომარეობა თავიდან აეცილებინა, ხელისუფლებას დროზე უნდა ეზრუნა ვაქცინების საქართველოში შემოტანაზე.

***– ხელისუფლებამ ეს არ გააკეთა?***

– რასაკვირველია, არ გააკეთა. ხელისუფლებამ მაქსიმალურად გააჭიანურა ვაქცინების შემოტანა. ბოლოს აშშ-მ გვაჩუქა ვაქცინა და ამაზე უარს ვერ იტყოდნენ. იმის მაგივრად, რომ ახლა მაინც დაეჩქარებინათ იმუნიზაციის პროცესი, თბილისში გააჩერეს ტრანსპორტი. ამით აცრას ხელი შეეშალა. რამდენიმე მარშრუტი დანიშნეს აცრის პუნქტებამდე, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. არ მესმის, რატომ გააჩერეს ტრანსპორტი. საზოგადოებრივი ტრანსპორტი შეიძლება გახდეს ვირუსის გადადების ადგილი, მაგრამ, თუ ზომებს მიიღებ, ეს არ მოხდება. საზოგადოებრივი ტრანსპორტი კი არ უნდა გაეჩერებინათ, დამატებითი ავტობუსები და ვაგონები უნდა დაენიშნათ. მაშინ არ მოხდებოდა ბევრი ხალხის თავმოყრა. რამდენჯერაც მიმგზავრია ავტობუსით, იქ უნიღბოდ არავინ მინახავს, მეტროშიც მკაცრად მოითხოვდნენ პირბადის ტარებას. მე ყოველთვის ამ პოზიციაზე ვიყავი. ცოტა მაკვირვებენ ის ოპოზიციონერი პოლიტიკოსები, რომლებიც ცოტა ხნის წინ მოითხოვდნენ ტრანსპორტის მოძრაობის გაჩერებას, ახლა კი ამბობენ, რომ გაჩერება სწორი არ არის და სატრანსპორტო საშუალებები უნდა დაემატებინათ. პანდემიას უნდა ებრძოლო სამედიცინო მეთოდებით. ეკონომიკის მოშლა და ტრანსპორტის გაჩერება დესტრუქციულ მოქმედებებად მიმაჩნია. აუცილებელია სამედიცინო სფეროს, მთელი ჯანდაცვის სისტემის გაძლიერება, ტექნიკური აღჭურვა. საქართველომ ამისათვის მიღებული კრედიტები თუ გრანტები უნდა გამოიყენოს. კლინიკები ძალიან გადატვირთულია. ამის ერთ-ერთი მიზეზია პანიკა. პანიკაში ჩავარდნილი ადამიანების ჯანმრთელობა უარესდება. მათ ჰგონიათ, რომ საავადმყოფოში უფრო დაცული იქნებიან. ჩემი აზრით, კლინიკებში მხოლოდ მძიმე ავადმყოფები უნდა დააწვინონ. იქ მათ უნდა დახვდეთ თავისუფალი ადგილები, სასუნთქი აპარატები, მედპერსონალი და სხვა. ნაკლებად მძიმე ინფიცირებულების მოვლა შესაძლებელია სახლებში. ისინი უნდა იმყოფებოდნენ ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ. არ არის სავალდებულო სასტუმროების გამოყენება კოვიდიანი პაციენტების განსათავსებლად. ამას თავისი დანიშნულება აქვს – ხელისუფლება და მმართველი პარტია ამით ფულს აკეთებინებს საკუთარ შემომწირველ ბიზნესმენებს. ხელისუფლებამ ხელი შეუწყო იმას, რომ ადამიანები სასოწარკვეთილებაში ცვივდებოდნენ და უბრალო სურდოს გამო პანიკდებოდნენ. ამიტომაა ასეთი გადატვირთული საავადმყოფოები.

***– ინფიცირებულთა რიცხვი დიდია.***

– ადამიანები ნამდვილად ავადდებიან და კლინიკები მძიმე პაციენტებს სჭირდებათ. გამოცხადებული ციფრებისა არ მჯერა. როცა სჭირდებათ, მოუმატებენ ციფრებს, როცა მოუნდებათ – შეამცირებენ. თუ „ოცნება“ თვლის, რომ ოპოზიცია მომძლავრებულია, მისი საკუთარი პოზიცია კი მყარი არაა, გაამწვავებს სიტუაციას, სხვა შემთხვევაში – შეარბილებს. თუ დარწმუნებულია, რომ საარჩევნოდ ყველაფერი კარგად ჩააწყო, არჩევნებს ჩვეულებრივ ატმოსფეროში ჩაატარებს.

***– საქართველოში, ისევე, როგორც სხვაგან, არიან აცრის მოწინააღმდეგეები. ყველა მათგანს არ ვგულისხმობ, მაგრამ ზოგიერთი ანტივაქსერული აგრესიული ჯგუფი დაკავშირებულია ანტიდასავლურ პოლიტიკურ დაჯგუფებებთან.***

– ზოგადად, რუსეთის ინტერესშია, რომ საქართველო ვერ განვითარდეს. ამ შემთხვევაში უნდა გამოვყოთ ადამიანები, რომლებსაც შეკითხვები აქვთ და ზოგიერთი ვაქცინის ეფექტურობისა არ სჯერათ. ანტივაქსერულად ხელისუფლება მოიქცა, როცა ვაქცინაციის პროცესი გააჭიანურა. დემოკრატიულად მოაზროვნე ქართველმა ჟურნალისტმა ასეთი რამ განაცხადა – ანტივაქსერები ერთად ბუნკერში უნდა ჩაკეტო და ისინი იქ უნდა ჩაიხოცონო. ასეთი აზრიც კი არ უნდა მოუვიდეს ადამიანს! ასეთი მიდგომა ადამიანებისადმი, რომლებიც სხვანაირად ფიქრობენ, ფაშიზმია. იმას ვეწინააღმდეგები, რომ ერთი ჰოსპიტლიდან გაათავისუფლეს ექიმი, რომელიც ერთ ვაქცინას აკრიტიკებდა. ჩემთვის დაკეტილია ტელევიზიები და აზრებს ხშირად ფეისბუქის საშუალებით გამოვხატავდი. ეტყობა, მართული ტროლებისა და ბოტების დახმარებით მოუნდათ ჩემი გაჩერება. ორ კვირაზე მეტია, რაც ფეისბუქი დამიბლოკეს. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც გამიტეხეს გვერდი და დადეს უხამსი ფოტო. ამის შემდეგ ფეისბუქმა (ეს კომპანია საკუთარი წესებით მოქმედებდა) დამიხურა გვერდი. ეწერა, რომ ეს სამი დღით ხდება, თუმცა დიდი დრო გავიდა. ამას ეშველება. დრო არ მქონდა, რომ ამისთვის მიმეხედა. დასანანი ის არის, რომ ადამიანს უკრძალავენ აზრის გამოთქმას.

# სააკაშვილი: „არც უნდა განვიხილოთ 2 ოქტომბრის რეფერენდუმის სადმე გადადება“

– საერთოდ არც უნდა განვიხილოთ 2 ოქტომბრის რეფერენდუმის სადმე გადადება.

ამის შესახებ საქართველოს მესამე პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი სოციალურ ქსელში წერს.

მისი თქმით, ახლა არათუ არჩევნების გადადებაა საჭირო, არამედ საჭიროა უფრო მეტი მობილიზება.

„გადადება კი არა, დაჩქარებაა საჭირო და პირიქით, აქეთ გადმოდება – ჩვენ გვჭირდება ახლა მობილიზაცია, მოქმედება და გამარჯვება ჩვენი იქნება ყველა შემთხვევაში, ოღონდ, რა თქმა უნდა, მთელი ძალების მობილიზაციის პირობებში.

მე ამ პროცესში ვარ ჩართული ბოლომდე და მე, მიხეილ სააკაშვილი, კატეგორიულად წინააღმდეგი ვარ ყველანაირი გადადების, ამ რეფერენდუმის“, – წერს მიხეილ სააკაშვილი.

# შოთა ბურჯანაძე: „სარესტორნო ბიზნესისთვის სამუშაო დროის შემცირება სრულიად უგუნური გადაწყვეტილებაა“

რესტორატორთა ასოციაციის დამფუძნებელი შოთა ბურჯანაძე აცხადებს, რომ 50-დან 60 პროცენტამდეა სარესტორნო ბიზნესში დასაქმებულ პირთა რაოდენობა, ვინც ერთხელ ან ორჯერადად არიან აცრილი.



– დაახლოებით 50-დან 60 პროცენტის ფარგლებშია სარესტორნო ბიზნესში დასაქმებულ პირთა რაოდენობა, ვინც ერთხელ ან ორჯერადად არიან აცრილი. ასოციაციის წევრ რესტორნებში ჩავატარეთ გამოკითხვა, თუ რამდენი პროცენტი და რა რაოდენობის ადამიანები არიან აცრილები. ეს არა მარტო ციფრებით, არამედ სახელებით და გვარებით, პირადი ნომრებით არის გაწერილი. დაახლოებით 50-დან 60 პროცენტამდეა სარესტორნო ბიზნესში დასაქმებული პირების რაოდენობა, ვინც ერთხელ ან ორჯერადად არიან აცრილი. ჩემთვის ეს დადებითი სიურპრიზი იყო, რომ ამ სფეროში ამდენი ადამიანია აცრილი, – განაცხადა შოთა ბურჯანაძემ.

რაც შეეხება საკოორდინაციო საბჭოს მიერ კვების ობიექტების მუშაობასთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებას, შოთა ბურჯანაძე ამბობს, რომ მისთვის დასახელებული შემზღუდავი ღონისძიების გატარება გაუგებარია.

შოთა ბურჯანაძის თქმით, სამუშაო დროის ერთი საათით შემცირება მობილობაზე გავლენას ვერ იქონიებს.

– შეიძლება ჩაითვალოს, რომ სრულიად უგუნურია ეს გადაწყვეტილება. გადაწყვეტილება რაღაც მიზანს უნდა ემსახურებოდეს, რომ მიზანი იქნეს მიღწეული. რა არის ჩვენი მიზანი, რომ კოვიდვითარება გარკვეულწილად დარეგულირდეს და შემცირდეს ინფიცირებულთა რაოდენობა. ვერავითარ შემთხვევაში სარესტორნო ბიზნესისთვის ერთი საათით სამუშაო დროის შემცირება ვერ მოახდენს გავლენას იმ მიზანზე, რასაც უნდა ემსახურებოდეს ეს გადაწყვეტილება. ამ შემთხვევაში, თუ მობილობაზე გვაქვს საუბარი, ერთსაათიანი სამუშაო დროის შემცირება მობილობის შემცირებაზე გავლენას ვერ მოახდენს. ამით მხოლოდ ზიანდება ბიზნესი, ეკონომიკა. ადამიანები, რომლებიც არიან დასაქმებულები, ხვალ დარჩებიან უმუშევრები.

ტრანსპორტის აკრძალვის შემთხვევაში, ისედაც იზრდება ხარჯი ბიზნესოპერატორის, მცირდება შემოსავალი და ეს აზიანებს როგორც ბიზნესს, ისე ეკონომიკას. ის, რომ 200-300-კაციანი ივენთები არ უნდა იყოს. ამაში ჩართული უნდა იყოს არა მხოლოდ ხელისუფლება, არამედ ჩვენც, რესტორატორთა ასოციაცია ჩართული ვართ და კრიმინალებსაც ვუწოდებთ იმ ადამიანებს, ვინც ქორწილებს, დიდ ივენთებს აწყობს და ცუდ ზეგავლენას ახდენს საზოგადოებრივ ჯანმრთელობაზე.

ასევე, იმუნიზაცია – ამ კუთხით უნდა ვიყოთ უფრო აქტიურები და შედეგს მივიღებთ. მგონი, საკოორდინაციო საბჭო უკვე ხიბლშია და ეს არის მიზანმიმართულად ეკონომიკის საწინააღმდეგო ქცევა. ჩვენ უნდა ვისწავლოთ ვირუსთან ერთად თანაცხოვრება, რომ გადავარჩინოთ ის, რაც გვაქვს, – განაცხადა შოთა ბურჯანაძემ.

უწყებათაშორისმა საკოორდინაციო საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომლის მიხედვით, 25 აგვისტოდან კვების ობიექტების მუშაობა, ნაცვლად 23:00 საათისა, დასაშვებია 22:00 საათამდე.

# 5 ივლისის ძალადობის ფაქტებზე ბრალდებული 10 პირი პატიმრობაში დარჩა

თბილისის საქალაქო სასამართლომ 5 ივლისის მოვლენებისას ძალადობის ფაქტებზე ბრალდებული ათი პირი პატიმრობაში დატოვა.

პროკურორი თამარ იაკობიძე აცხადებს, რომ არსებული მტკიცებულებების შეფასების შემდეგ სახეზე იყო აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საფუძველი და მოსამართლემ ბრალდებულების მიმართ გამოყენებული პატიმრობა ძალაში დატოვა.

– კიდევ ერთხელ შეფასდა საქმეში არსებული როგორც მტკიცებულებები, ისე ფაქტობრივი და ფორმალური საფუძვლები და მოსამართლემ მიიჩნია, რომ დღეის მდგომარეობითაც სახეზე იყო აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საფუძველი და ბრალდებულების მიმართ გამოყენებული პატიმრობა დატოვა ძალაში.

ახლა მსჯელობა იყო აღკვეთის ღონისძიებაზე, თითოეული მტკიცებულება, როგორც მოწმეთა ჩვენებები, ისე ვიდეომასალები გამოკვლეული იქნება საქმის არსებით განხილვაზე, – განაცხადა თამარ იაკობიძემ.

ერთ-ერთი დაკავებულის, ბრალდებულ დავით კუტალაძის ადვოკატის, ონისე მარგიანის განცხადებით, სასამართლომ ძალაში დატოვა „სრულიად უკანონოდ და უსამართლოდ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება – პატიმრობა".



– ისევე, როგორც ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი პირის, ბრალდებულ დავით კუტალაძის, პირველი წარდგენის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილება, კერძოდ მის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შესახებ, იყო უსაფუძვლო და დაუსაბუთებელი, სწორედ ასეთი უსაფუძვლო და დაუსაბუთებელი იყო გადაწყვეტილება სასამართლოსი.

სასამართლომ განმარტა, რომ პირველი წარდგენის სხდომაზე აღნიშნული საფრთხეები, რომლებიც ფაქტობრივად არ არსებობდა, დღესაც რჩება როგორც საფრთხეები. თუმცა პირველი წარდგენის სხდომის განჩინებაში არცერთი კონკრეტული პოზიცია დასაბუთებული არ არის, როგორ შეიძლებოდა მოწმეებზე ზეწოლა, მტკიცებულების განადგურება როგორ საბუთდებოდა. სტანდარტული შუამდგომლობა იყო და სტანდარტული განჩინება იყო, რომელსაც არ ჰქონდა კონკრეტული დასაბუთება, – განაცხადა ადვოკატმა.

5-6 ივლისს გამართული აქციების მიმდინარეობის დროს ჟურნალისტებისთვის პროფესიულ საქმიანობაში ძალადობის მუქარით, უკანონოდ ხელის შეშლის, ძალადობითა და ძალადობის მუქარით დევნის, ასევე, ჯგუფური ძალადობის ფაქტებზე სულ დაკავებულია 31 პირი, კერძოდ: ჟურნალისტებისთვის პროფესიულ საქმიანობაში ძალადობის მუქარით, უკანონოდ ხელის შეშლის, ჯგუფური ძალადობის და ძალადობის მუქარით დევნის ფაქტებზე 27 პირი დააკავეს, „თბილისი პრაიდის" ოფისის დარბევისთვის, ჯგუფურ ძალადობაში მონაწილეობის, ძალადობით ან ძალადობის მუქარით დევნის, ასევე, ბინის ან სხვა მფლობელობის ხელშეუხებლობის ჯგუფურად დარღვევის ფაქტზე – 3 პირი, 1 პირი კი პოლიციამ მოქალაქის მიმართ ჩადენილი ძალადობისთვის დააკავა.

# სააპელაციომ ზურაბ ზვიადაურის ადვოკატების საჩივარი არც კი განიხილა

სააპელაციო სასამართლომ სოფელ წინანდლის ტყეში მომხდარი მკვლელობის საქმეზე დაკავებული ოლიმპიური ჩემპიონის, ზურაბ ზვიადაურის ადვოკატების საჩივარი განუხილველი დატოვა.



როგორც „ინტერპრესნიუსთან" საუბრისას ზვიადაურის უფლებადამცველმა ტარიელ მურმანიშვილმა აღნიშნა, ადვოკატები ზვიადაურის აღკვეთის ღონისძიების გარეშე დატოვებას ითხოვდნენ და მის ალტერნატივად როგორც 50.000-ლარიან გირაოს, ასევე პირად თავდებობას სთავაზობდნენ.

თავდებთა სიაში ცნობილი ადამიანები, მათ შორის 5 ოლიმპიური ჩემპიონი, მსოფლიო ჩემპიონები და ევროპის ჩემპიონები იყვნენ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, სასამართლომ პირადი თავდებობა მიზანშეუწონლად მიიჩნია.

– გასაჩივრებული იყო აღკვეთის ღონისძიება – პატიმრობა, როგორც უკანონო და დაუსაბუთებელი. ვითხოვდით, რომ ზვიადაური აღკვეთის ღონისძიების გარეშე დარჩენილიყო, ვინაიდან უდანაშაულო ადამიანია და აუცილებელი მოგერიება კანონდარღვევად არ მიიჩნევა. თუ სასამართლო ჩათვლიდა საჭიროდ, რომ გამოეყენებინა აღკვეთის ღონისძიება, ალტერნატივად ვთავაზობდით როგორც 50.000-ლარიან გირაოს, ასევე პირად თავდებობას. არც ერთი არ გაითვალისწინა და საერთოდ განუხილველი დატოვა.

ამდენი ღირსეული ადამიანი უდგება თავდებში, ისიც კი არ იკადრა სასამართლომ, რომ ზეპირი მოსმენა ჩაენიშნა და მოესმინა ამ ადამიანებისთვის თუ როგორ უზრუნველყოფდნენ ზვიადაურის თავდებობას. პირდაპირ ზეპირი მოსმენის გარეშე დაუშვებლად ცნო ჩვენი საჩივარი.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ზემდგომ ინსტანციაში აღარ საჩივრდება, ერთადერთი გზა გვრჩება სტრასბურის სასამართლოში მიმართვა, რაზეც ვმსჯელობთ ბატონ ზურაბთან ერთად და მივიღებთ შემდგომ გადაწყვეტილებას, – აღნიშნა ტარიელ მურმანიშვილმა.

თელავის რაიონულმა სასამართლომ მკვლელობაში ბრალდებულ ოლიმპიური ჩემპიონს, ყოფილ დეპუტატს ზურაბ ზვიადაურს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა 18 აგვისტოს შეუფარდა. პატიმრობა შეეფარდა ასევე ცეცხლსასროლი იარაღის დაუდევრად შენახვისთვის ბრალდებულ ჯაბა ჯანგირაშვილს.

ზურაბ ზვიადაურს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით (განზრახ მკვლელობა) წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 8-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

# ჩხოროწყუში ამირან მორგოშიას მკვლელობისა და მისი ძმის დაჭრისთვის 29 წლის რ.კ. დააკავეს

ჩხოროწყუში მომხდარი მკვლელობის ფაქტზე, განზრახ მკვლელობის ბრალდებით, ერთი პირი დააკავეს. დანაშაული 7-დან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო და სამძებრო ღონისძიებების შედეგად, 1992 წელს დაბადებული რ.კ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა რ.კ.-მ მიმდინარე წლის 23 აგვისტოს, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ სოფელში, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, 1993 წელს დაბადებულ მ. მ.-ს და მის ძმას – 1996 წელს დაბადებულ ა.მ.-ს ცივი იარაღით სხეულზე დაზიანებები მიაყენა.

დაჭრილი პირები საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც ა.მ. მიყენებული ჭრილობის შედეგად გარდაიცვალა.

პოლიციამ რ.კ. მომხდარიდან მალევე დააკავა.

გამოძიება განზრახ მკვლელობის ფაქტზე სსკ-ის 108-ე მუხლით მიმდინარეობს", – აღნიშნულია შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

# „კალათი ელექტროსადენს შეეხო, დენმა დაარტყა და გადმოვარდა"

## რა მოხდა ბათუმში

24 აგვისტოს ბათუმში 23 წლის კაცი დაიღუპა.

კაცი ბილბორდის გაკვრაზე მუშაობდა. მაღლივ ბილბორდზე სარეკლამო ბანერის გაკვრა ამწეთი იგეგმებოდა.

„კალათი ელექტროსადენს შეეხო, დენმა დაარტყა და გადმოვარდა", – ეს არის ინფორმაცია, რომელიც გარდაცვლილის ახლობლებმა იციან.

სასწრაფო დახმარების სამსახურში აცხადებენ, რომ ადგილზე მისულ ჯგუფს ახალგაზრდა კაცი გარდაცვლილი დახვდა.

ახალგაზრდა კაცის ცხედარი ბათუმში სამხარაული ექსპერტიზის ბიუროში გადაასვენეს.

ფაქტზე გამოძიება სს კოდექსის 240-ე მუხლით დაიწყო, რაც სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევას გულისხმობს.

ახალგაზრდა კაცი სარეკლამო ბანერის გაკვირისას გასულ კვირასაც დაიღუპა ბათუმში. ის ერთ-ერთი მშენებარე კორპუსიდან გადმოვარდა.

# რუსთავში 80 წლის მამაკაცი მოკლეს

## დაკავებულია 24 წლის ქალი

რუსთავში, დავით გარეჯის ქუჩაზე არსებულ ერთ-ერთ საცხოვრებელ კორპუსში 80 წლის მამაკაცი მოკლეს.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ მკვლელობის ფაქტზე 24 წლის ქალი დააკავა.

დანაშაული 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1997 წელს დაბადებული დ.ჯ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა ქალაქ რუსთავში, საყოფაცხოვრებო თემაზე დაწყებული ურთიერთშელაპარაკების შემდეგ, თავის მეზობელს – 1942 წელს დაბადებულ ა.პ.-ს, მისსავე საცხოვრებელ ბინაში, ბლაგვი საგნის გამოყენებით თავის არეში სასიკვდილო დაზიანებები მიაყენა. მიღებული დაზიანებების შედეგად ა.პ. ადგილზე გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა ბრალდებული დანაშაულის ჩადენიდან მალევე, ცხელ კვალზე, რუსთავში დააკავეს.

განზრახ მკვლელობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს", – ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში.

„რუსთავი 2"-ის ინფორმაციით, 24 წლის მეზობელ ქალსა და მოხუც მამაკაცს შორის კონფლიქტი თანხას უკავშირდება. კერძოდ, მეზობელი ქალი მამაკაცთან ფულის სასესხებლად მივიდა, თუმცა კაცმა ის უარით გაისტუმრა, რის შემდეგაც ახალგაზრდა ქალმა ასაკოვან მამაკაცს ბლაგვი საგნით თავის არეში სასიკვდილო ჭრილობები მიაყენა.

მკვლელობის შემდეგ ქალი ფულის სასესხებლად სხვა მეზობელს ესტუმრა, თუმცა სასურველი თანხა ვერც მისგან მიიღო. ამის შემდეგ კი ის იმავე მეზობელთან ერთად კვლავ მოხუცის სახლში დაბრუნდა, ვითომდა ფულის სასესხებლად. სახლში შესულებს მამაკაცი გარდაცვლილი დახვდათ.

ირკვევა, რომ ბრალდებულმა, კვალის არევის მიზნით, პოლიცია ადგილზე თავადვე გამოიძახა.

# „გოგონებს გვაგინეს, გვაფურთხეს, წიხლები გვირტყეს"

## ნიკორაში 3-მა მამაკაცმა 3 ქალი ცემა

სუპერმარკეტ ნიკორაში ახალგაზრდა ქალები ცემეს. დაზარალებულები „პირველებთან" ამბობენ, რომ მათ რიგში დგომისას სამი შუახნის მამაკაცი ჯერ სიტყვიერად, შემდეგ კი ფიზიკურად დაუპირისპირდა.

შემთხვევა 24 აგვისტოს კახეთის გზატკეცილზე მდებარე ფილიალში მოხდა. ადგილზე ვითარება იმდენად დაიძაბა, რომ სუპერმარკეტის თანამშრომლებმა პოლიცია გამოიძახეს.

უკვე დაიკითხნენ დაზარალებულები, რომლებმაც ცემის შედეგად სახეზე დაზიანებები მიიღეს. ამოღებულია კამერების ჩანაწერებიც.

– რიგში მდგომმა მამაკაცმა გამოთქვა პრეტენზია. სამი კაცი იყო, ჩვენ ვიყავით სამი გოგონა. მე ვუთხარი, ბატონო, არ არის პრობლემა, გითმობთ რიგს, იმიტომ, რომ კიდევ უნდა დავამატო პროდუქტები, რის შემდგომ მაგინა, მაფურთხა, თავისმა ორმა მეგობარმაც მაგინა, ორი მეგობარი გოგონა ცემეს, ერთს სისხლი წასკდა ცხვირიდან, მეორეს წიხლები ურტყეს კარში.

დაგვაწერინეს რაღაც განცხადება, გადაგვიყვანეს განყოფილებაში და სასამართლოში დაგიბარებთო. ვიდეოჩანაწერი თავიდან ბოლომდე არ ამოუღიათ, მე მანახეს რაღაც მონაკვეთი, როცა ვჩხუბობდით, – ამბობს დაზარალებული.

# ბაკურიანის ტყეში მამაკაცს ხე დაეცა და მოკლა

ბაკურიანის მიმდებარედ, ტყეში, ახალგაზრდა მამაკაცს ხე დაეცა და ადგილზე გარდაიცვალა.

როგორც „ინტერპრესნიუსს" შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, მომხდარ ფაქტზე გამოძიება საქართველოს სსკ-ს 240-ე მუხლის მე-2 ნაწილით მიმდინარეობს, რაც სამთო, სამშენებლო ან სხვა სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

# უცხოელებით სავსე მანქანა გოდერძის უღელტეხილზე გადავარდა



24 აგვისტოს გოდერძის უღელტეხილზე გზის სავალი ნაწილიდან ავტომობილი ხევში გადავარდა.

ტვ 25-ის ცნობით, მანქანაში უცხო ქვეყნის 3 მოქალაქე იმყოფებოდა, მათ შორის ერთი არასრულწლოვანი. მათგან გარდაცვლილია ერთი პირი.

ავტოსაგზაო შემთხვევას საუდის არაბეთის მოქალაქე, 31 წლის ქალი ემსხვერპლა. მანქანით ცოლ-ქმარი და მათი 8 წლის შვილი მგზავრობდნენ.

სოციალურ ქსელში გავრცელდა ავარიის ამსახველი ვიდეოკადრები, საიდანაც ჩანს, როგორ გადავარდა მანქანა ხევში და როგორ ამოტრიალდა ის არაერთხელ.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლით დაიწყო, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს.

# ვახო სანაიაზე თავდასხმაში ბრალდებულებს მოსამართლემ 6–6 თვე მიუსაჯა

## ისინი გუშინ გათავისუფლდნენ



გუშინ, 25 აგვისტოს, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ ჟურნალისტ ვახო სანაიაზე თავდასხმაში ბრალდებული სამივე პირი – ვაჟა გიგაური, სულიკო საყევარაშვილი და გიორგი სახელაშვილი დამნაშავედ ცნო და მათ 6-თვიანი პატიმრობა შეუფარდა.

პატიმრობის ვადა მათ გუშინ ამოეწურათ. მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, სამივე პირი გუშინვე გათავისუფლდა.

სამართალდამცავებმა ვახო სანაიას მიმართ, მისი პროფესიული საქმიანობის გამო განხორციელებული დევნისა და დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით მუქარის ფაქტზე 3 პირი დააკავეს. მათ ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით, 151-ე მუხლის პირველი ნაწილით და 126-ე მუხლის პირველი ნაწილით წარედგინათ, რაც სასჯელის სახედ და ზომად 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

საერთაშორისო

## ანგელა მერკელი: „ევაკუაციას ავღანეთიდან იმდენ ხანს გავაგრძელებთ, რამდენიც საჭირო იქნება“

გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელის განცხადებით, გერმანია იმ ავღანელების დახმარებას, რომლებიც მის ჯარისკაცებთან და ორგანიზაციებთან მუშაობდნენ, 31 აგვისტოს შემდეგაც შეეცდება.



– ევაკუაციას იმდენ ხანს გავაგრძელებთ, რამდენიც საჭირო იქნება იმ ავღანელების დასაცავად, რომლებიც ჩვენთვის მუშაობდნენ. რამდენიმე დღეში საჰაერო ხიდის დასრულება არ უნდა ნიშნავდეს ავღანელების დახმარების მცდელობის დასრულებას. სწორედ ამიტომ ვმუშაობთ ინტენსიურად ყველა დონეზე, რათა გამოვძებნოთ მათი დახმარების გზები, რომლებიც ჩვენ დაგვეხმარნენ, – აღნიშნა მერკელმა გერმანიის პარლამენტში სიტყვით გამოსვლისას.

მან თალიბანის მიერ ქაბულის აღების შემდეგ ავღანეთში შექმნილ სიტუაციაზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ საერთაშორისო საზოგადოებამ იხილა სასოწარკვეთილი ადამიანები, რომლებიც ქვეყნის დატოვებას ცდილობდნენ.

– ჩვენ ვნახეთ საშინელი ადამიანური დრამები, როდესაც ოჯახები შვილებს კედლების მიღმა მდგარ ჯარისკაცებს აწვდიდნენ, – აღნიშნა მერკელმა.

მისივე თქმით, საერთაშორისო საზოგადოებამ სათანადოდ ვერ შეაფასა, რამდენად სწრაფად დაეცემოდა ავღანეთის რეჟიმი საერთაშორისო ძალების გაყვანის შემდეგ. მერკელის განცხადებით, ის ფაქტი, რომ თალიბები ხელისუფლებაში დაბრუნდნენ, მწარე რეალობაა, რასაც საერთაშორისო საზოგადოება უნდა გაუმკლავდეს.

– ისტორიაში ბევრ რამეს დიდი დრო სჭირდება, ამიტომაც არ უნდა დაგვავიწყდეს და არც დაგვავიწყდება ავღანეთი, – აღნიშნა მერკელმა.

გერმანიის კანცლერმა საერთაშორისო საზოგადოებას მოუწოდა, თალიბანთან დიალოგი შეინარჩუნოს, რათა ბოლო 20 წლის განმავლობაში ავღანეთში მიღწევები დაიცვას.

– ჩვენი მიზანი უნდა იყოს, მაქსიმალურად შევინარჩუნოთ ის, რასაც ავღანეთში ბოლო 20 წლის განმავლობაში მივაღწიეთ განხორციელებული ცვლილებების თვალსაზრისით. ეს არის ის, რაზეც საერთაშორისო საზოგადოებამ უნდა ისაუბროს თალიბანთან, – აღნიშნა მერკელმა.

## ტელეარხ „დოჟდს“ უცხოეთის აგენტის სტატუსი მიენიჭა

რუსულ ოპოზიციურ ტელეარხ „დოჟდს“ უცხოეთის აგენტის სტატუსი მიენიჭა. შესაბამისი გადაწყვეტილება რუსეთის იუსტიციის სამინისტრომ მიიღო.




– ამის გამო მადლობის მეტი არა მეთქმის რა! ასეთი გადაწყვეტილების მიღება იმას ნიშნავს, რომ კარგად ვმუშაობთ! – აცხადებს „დოჟდის“ მთავარი რედაქტორი დიდკო.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

სპორტი

## კეინი ტოტენჰემში რჩება, სიტის რონალდუ შესთავაზეს

საბოლოოდ გადაწყდა, რომ ტოტენჰემის თავდამსხმელი ჰარი კეინი ლონდონურ კლუბში რჩება და მიმდინარე სატრანსფერო ბაზარზე მანჩესტერ სიტიში არ გადავა.

ამის შესახებ კლუბისა და ინგლისის ეროვნული გუნდის კაპიტანმა სოციალური ქსელის მეშვეობით თავად გამოაცხადა.




ჰარი კეინი:

– წარმოუდგენელი სანახავი იყო „სპურსის“ გულშემატკივრებთან შეხვედრა და მხარდასაჭერი წერილების წაკითხვა, რომლებიც ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში მივიღე. ამ ზაფხულს ტოტენჰემში დავრჩები და 100 პროცენტით ორიენტირებული ვიქნები იმაზე, რომ გუნდს წარმატების მიღწევაში დავეხმარო.

არადა, 28 წლის ფორვარდს „დეზების“ დატოვება გადაწყვეტილი ჰქონდა. სიტიმ ლონდონელებს მის სანაცვლოდ 100 მილიონი ევრო შესთავაზა, თუმცა უარი მიიღო.

თავის მხრივ, პეპ გვარდიოლას გუნდი სერხიო აგუეროს შემცვლელს ეძებს, რომელმაც სიტი მიმდინარე ზაფხულს სრულიად უფასოდ, თავისუფალი აგენტის სტატუსით დატოვა და ბარსელონას შეუერთდა.

კეინის ტრანსფერის ჩაშლის შემდეგ, შესაძლოა, გვარდიოლას გუნდში კრიშტიანუ რონალდუ აღმოჩნდეს.

თავად პორტუგალიის ნაკრების სუპერვარსკვლავს მიმდინარე სატრანსფერო ფანჯრის პერიოდში იუვენტუსის დატოვება სურს. ევროპული გამოცემები წერენ, რომ პორტუგალიელი საკუთარ თავს ყველაზე მეტად მანჩესტერ სიტიში ხედავს.

რონალდუს ისიც კარგად ესმის, რომ მისი შეძენა მხოლოდ რამდენიმე კლუბს შეუძლია და ერთ-ერთი მათგანი მანჩესტერული კლუბია. მიუხედავად იმისა, რომ რონალდუს წარსული მანჩესტერ იუნაიტედთან აკავშირებს, ის თანახმაა, კარიერა „წითელი ეშმაკების“ უმთავრესი მეტოქის რიგებში გააგრძელოს.

რამდენიმე დღის წინ იტალიური მედია გაკვრით წერდა, რომ ფეხბურთელის აგენტმა ჟორჟე მენდეშმა სიტის რონალდუს გადაბირება შესთავაზა.

თავის მხრივ, პორტუგალიელს იუვენტუსთან კონტრაქტი აკავშირებს. შესაბამისად, სიტის მის გამოსასყიდად თანხის გადახდა მოუწევს. ყველაფერთან ერთად, გასათვალისწინებელია ფეხბურთელის ასაკი (რონალდუ 36 წლის არის) და მაღალი ხელფასი.

წინააღმდეგი არც იუვენტუსია, მაგრამ ჯერ მანჩესტერელთაგან შეთავაზება არ მიუღია.

მედია იმასაც წერის, რომ რონალდუ სიტის პორტუგალიელ ლეგიონერებს ბერნარდუ სილვას, რუბენ დიაშსა და ჟოაუ კანსელუს ხშირად ესაუბრება.

ევროპული მედია რონალდუს პარი სენ-ჟერმენსაც უკავშირებს, მაგრამ ამ შემთხვევაში პარიზელებმა კილიან მბაპე უნდა გაასხვისონ.

პორტუგალიელ ფეხბურთელს იუვენტუსთან კონტრაქტი 2022 წელს ეწურება, ის სეზონის პირველ მატჩში, უდინეზესთან (2:2), ძირითად შემადგენლობაშიც არ იყო და მხოლოდ 30 წუთი ითამაშა.

სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე ზუსტად 1 კვირაა დარჩენილი და ყველაფერი ამ პერიოდში უნდა გაირკვეს.

## პარალიმპიადა ვერცხლით დავიწყეთ



ეტლით მოფარიკავე ნინა თიბილაშვილი ტოკიოს პარალიმპიური თამაშების ვერცხლის მედლის მფლობელია. ქართველმა პარასპორტსმენმა ხმლით ფარიკაობის ინდივიდუალურ შეჯიბრებაში ფინალური ბრძოლა რეიტინგის პირველ ნომერ ჩინელ ბიან ჟინგთან 7:15 დათმო და მეორე ადგილს დასჯერდა.

თიბილაშვილი ა კატეგორიის ფლეი ოფში ორი მოგებითა და ამდენივე წაგებით გავიდა, მაგრამ შემდეგ იყოჩაღა: მერვედფინალში იტალიელ ლორედანა ტრიგილიას 15:9 მოუგო, მეოთხედფინალში უკრაინელ ნატალია მორკვიჩს 15:13 აჯობა, რომლის გზასაც ნახევარფინალში მისივე თანამემამულე ევგენია ბრეუსი გაუყენა – 15:12.

სამწუხაროდ, ბ კატეგორიაში უმედლოდ დარჩა ირმა ხეცურიანი, რომელმაც მეოთხედფინალში იტალიელ როსანა პასკინოს 15:14 მოუგო, მაგრამ შემდეგ ჩინელებთან წააგო: ნახევარფინალური შუმეი ტანთან 8:15, ხოლო ბრინჯაოს მედლისთვის შაო რონგთან – 6:15.

## ლუკა ბულაშვილი კარიერას ბოსნია-ჰერცეგოვინაში გააგრძელებს




ქართველი კალათბურთელი ლუკა ბულაშვილი ბოსნია-ჰერცეგოვინაში ითამაშებს. ჩვენებურმა უმაღლესი ლიგის კლუბ ბოსნა როიალთან კონტრაქტი გააფორმა და გუნდს 30 აგვისტოს შეუერთდება.

ბოსნა როიალი ადრიატიკის ზონის გუნდებში მოიაზრება და იქ თამაში პროფესიული ზრდისთვის კარგი ვარიანტია. ამის მაგალითი ბლომად გვაქვს – იქ სხვადასხვა დროს უთამაშიათ ვლადიმერ სტეფანიას, ვლადიმერ ბოისას, მანუჩარ მარკოიშვილს, გოგა ბითაძეს.

ბოსნა როიალი 1951 წელს დაარსდა და იუგოსლავიის ჩემპიონატი 3-ჯერ აქვს მოგებული, ბოსნია-ჰერცეგოვინის პირველობაზე კი ოქროს მედალი 4-ჯერ მოუგია, თუმცა ბოლოს – 2008 წელს.

ბულაშვილი გასულ სეზონში თბილისის დინამოში გამოდიოდა და გუნდის ლიდერიც იყო – საქართველოს სუპერლიგაში საშუალოდ 21,4 ქულასა და 4,5 მოხსნას აგროვებდა.

## პსჟ მბაპეს რეალში გაუშვებს



პარი სენ-ჟერმენის სპორტული დირექტორი ლეონარდო აცხადებს, რომ თუ კილიან მბაპეს სურვილი აქვს, დატოვოს პარიზული კლუბი და მადრიდის რეალში გადავიდეს, ხელს არ შეუშლიან.

ლეონარდო:

– ყველამ ვიცით, რომ კილიანს რეალში გადასვლა სურს. ჩვენ დაბრკოლებას არ შევუქმნით. მართალია, რეალის პირველ წინადადებას უარით ვუპასუხეთ, მაგრამ, თუ მადრიდში ჩვენს პირობებს მიიღებენ, მზად ვართ, გადავხედოთ პირველ გადაწყვეტილებას.

რაც შეეხება რეალის პირველ წინადადებას, მადრიდული კლუბის პრეზიდენტმა ფლორენტინო პერესმა პარიზელებს 160 მილიონი ევრო შესთავაზა. ფრანგული მხარე ამ შემოთავაზებამ არ დააკმაყოფილა და 200 მილიონი მოითხოვა, თუმცა პსჟ-ში იმასაც კარგად ხვდებიან, რომ თუ ფეხბურთელს ახლა არ გაასხვისებენ, მომავალ ზაფხულს საერთოდ უფულოდ დაკარგავენ. ამიტომაც მზად არიან, ისევ რეალის წინადადებას დაელოდონ.

რეალში გადასვლა მბაპეს ადრეც სურდა, მაგრამ მისი სურვილი კიდევ უფრო გაძლიერდა, რაც პსჟ-ს ფორმა ბარსელონიდან გადასულმა ლეო მესიმ მოირგო.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

კალეიდოსკოპი

## კანიე უესტის ჯავშანჟილეტი 20 ათას დოლარად გაიყიდა




ტყვიაგაუმტარი ჟილეტი, რომელიც ამერიკელ რეპერ კანიე უესტს საკუთარ კონცერტზე ეცვა, სოლიდურ თანხად გაიყიდა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მუსიკოსს შავი ჯავშანჟილეტი თავისი ახალი ალბომის Donda-ს პრეზენტაციაზე ეცვა, რომელიც 5 აგვისტოს ამერიკის ჯორჯიის შტატის ქალაქ ატლანტაში შედგა. აღსანიშნავია, რომ ჟილეტის შიდა მხრიდან განთავსებულია ბალისტიკური პანელები, გარედან კი დატანებული აქვს წარწერა: MBD - My Body Different („ჩემი სხეული გამორჩეულია“).

ერთ-ერთი ამერიკული გამოცემის ინფორმაციით, ონლაინპლატფორმა Justin Reed-მა მოახერხა უესტის ჟილეტის ხელში ჩაგდება და შემდეგ მის 20 ათას დოლარად გაყიდვა. მყიდველის ვინაობა უცნობი დარჩა, თუმცა ცნობილია, რომ ის ნიუიორკელმა კოლექციონერმა შეიძინა.

## უზარმაზარი აგრესიული მღრღნელები მდიდრების საცხოვრებელ კომპლექსს შეესივნენ



არგენტინაში აგრესიულმა კაპიბარებმა ნორდელტი – მდიდრების დაცული საცხოვრებელი კომპლექსი – დაიპყრეს, რომელიც ბუენოს-აირესის გარეუბანში მდებარეობს.

უზარმაზარი მღრღნელების შემოსევა რამდენიმე კვირის წინ დაიწყო. ისინი აწყობენ საგზაო– სატრანსპორტო შემთხვევებს, ანადგურებენ საგანგებოდ მოვლილ მდელოებს, კბენენ ძაღლებს. ნორდელტის მცხოვრებლები ცდილობდნენ, კაპიბარებისთვის სათანადო პასუხი გაეცათ, მაგრამ საქმეში ბუნების დაცვის სამსახურის თანამშრომლები ჩაერივნენ და ცხოველების ხელის ხლება აუკრძალეს.

არგენტინელების უმრავლესობა ერთგვარი კმაყოფილების გრძნობით ადევნებს თვალს იმას, რაც ნორდელტიში ხდება. ბევრში უფრო მეტ თანაგრძნობას იწვევენ მღრღნელები, ვიდრე ელიტური კომპლექსის მცხოვრებლები, რომლებსაც, უბრალოდ, გაქსუებულ ფულის ტომრებად თვლიან და რომლებიც რიგით მოქალაქეებს გაემიჯნნენ. ინტერნეტში მათ კაპიბარებს კლასობრივი ბრძოლის ავანგარდი უწოდეს.

## მდინარის ფსკერზე ტელეფონი ამუშავდა




ამერიკის სამხრეთ კაროლინას შტატის მკვიდრი ქალის მობილური ტელეფონი, რომელშიც მისი გარდაცვლილი ძმის ფოტოსურათები იყო შენახული, ერთი წელი ეგდო ტბის ფსკერზე, იქიდან ამოღების შემდეგ კი ამუშავდა.

2020 წლის ივლისში ჯორდან მიზლაისკისი და მისი ქმარი სკოტ კჯელსონი კანადაში გაემგზავრნენ მისი ძმის, ჯესის, დაბადების დღის აღსანიშნავად. ჩანჩქერ ჩიპევაზე ექსკურსიის დროს ქალს ტელეფონი მდინარეში ჩაუვარდა.

– ის დღე მხიარულად გავატარეთ, ვითევზავეთ, ყველაფერი კარგად იყო. ჩემი ტელეფონი ქვაზე დავდე, ის კი დაცურდა და ჩვენ თვალწინ წყალში ჩავარდა. იმ ადგილზე დიდი სიღრმე და ძლიერი დინება იყო, – ყვება ქალი. ოჯახმა ტელეფონის მაგნიტის გამოყენებით ამოღება ცადა, მაგრამ უშედეგოდ.

ამის შემდეგ მალევე მიზლაისკისი სამშობლოში დაბრუნდა, ჯესი კი კვადროციკლით დაიმტვრა. ფოტოსურათები, რომლებზეც ოჯახი უკანასკნელად იყო ერთად აღბეჭდილი ტელეფონის მეხსიერებაში, მდინარის ფსკერზე ეგდო.

მიმდინარე წლის ივლისში ქალი ისევ ჩავიდა ონტარიოში, რათა თავისი გარდაცვლილი ძმის დაბადების დღე აღენიშნა. მოულოდნელად მან ფეისბუქში უცნობისგან მიიღო შეტყობინება. ის წერდა, რომ ძმასთან ერთად ჩანჩქერში ჩაყვინთა და იქ ტელეფონი იპოვა.

– მას ეგონა, რომ ტელეფონი ახალი დაკარგული მქონდა, ვინაიდან ის იდეალურად იყო შენახული. სმარტფონმა ერთი წელი გაატარა წყალში და არაფერი დაემართა, – განაცხადა მიზლაისკისმა. ქალმა ტელეფონი და მასთან ერთად ძმის ფოტოსურათები დაიბრუნა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ბუნებრივი მოთხოვნილებისთვის გაჩერებულმა ოჯახმა ლატარიაში ჯეკპოტი მოხსნა




ოჯახმა ამერიკის ნიუ-ჯერსის შტატიდან გადაწყვიტა, მგზავრობის დროს ბუნებრივი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად შეჩერებულიყო და ლატარიაში ჯეკპოტი მოხსნა.

ოჯახი ჩრდილოეთ კაროლინას შტატიდან სახლში ბრუნდებოდა და გადაწყვიტა, ქალაქ ჯერმაუნთაუნში მაღაზიასთან შეჩერებულიყო ტუალეტში შესასვლელად. ამავე დროს მათ გადაწყვიტეს, მაღაზიაში რამდენიმე ცალი ლატარიის ბილეთი შეეძინათ.

– მოლარემ რატომღაც იფიქრა, რომ სიგარეტის ყიდვა გვსურდა. ბოლოს და ბოლოს, ის მიხვდა, რომ ლატარიის ბილეთების შეძენა გვსურდა და სავაჭრო ავტომატთან გაგვიშვა, – იხსენებს ლატარიის გამარჯვებული.

სახლში დაბრუნებულებმა აღმოაჩინეს, რომ ერთ-ერთმა ბილეთმა მათ ორი მილიონი დოლარის მოგება მოუტანა.

– ვერაფრით ვიჯერებდი, რომ ყველა რიცხვი გამოვიცანით, რომელიც გათამაშებაში ამოვიდოდა. რამდენიმეჯერ მომიწია გადამოწმება, რათა საბოლოოდ დავრწმუნებულიყავი გამარჯვებაში, – განაცხადა ქალმა. ოჯახი მოგებული თანხის ნაწილით ვალების გასტუმრებას გეგმავს, ხოლო დანარჩენს სამომავლოდ გადადებენ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ტორპედოს ისევ აუქციონზე გაიტანენ

ქუთაისის ტორპედო, რომელსაც ბოლო პერიოდში ფინანსური პრობლემები აქვს, ისევ ჰაერშია გამოკიდებული, უფრო სწორად, მერიის ბალანსზეა, მაგრამ ჯერ აუქციონზე იყო გატანილი, რომელიც არ შედგა, ხოლო შემდეგი ინფორმაციით, ახალ მეპატრონეს 25 აგვისტოს უნდა გადასცემოდა.

ტორპედოს საწყისი ფასი 567.00 ლარი იყო, მაგრამ აუქციონის პირობებში ისეთი პუნქტები იდო, რომ ინვესტორებმა მისი შეძენა არ ისურვეს.

გარიგება არც 25 აგვისტოს შედგა, რაც ასევე ძველ, სოლიდურ დავალიანებას უკავშირდება. პოტენციურმა ინვესტორებმა ძველი დავალიანების დაფარვაზე უარი განაცხადეს.

სავარაუდოდ, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტი ინვესტორებს ახალ პირობებს შესთავაზებს, მაგრამ ახალი აუქციონის ვადა ჯერჯერობით გაურკვეველია.

თავის მხრივ, ქუთაისის მერია ვალდებულებას აიღებს, მყიდველს ხელი შეუწყოს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაში, რისთვისაც კანონით დადგენილი წესით სარგებლობაში საფეხბურთო ბაზას გადასცემს.

## ფეხბურთიდან პოლიტიკაში — კალაძე, რივერა, ვეა, რომარიო...



ერთ-ერთმა სერბულმა გამოცემამ სპორტული კარიერის დასრულების შემდეგ პოლიტიკაში წასულ ფეხბურთელებს სტატია მიუძღვნა, რომელშიც საქართველოს ნაკრების ყოფილი კაპიტანი და ამჟამად თბილისის მერი კახა კალაძეც არის ნახსენები.

– თბილისის დინამოს, კიევის დინამოს, მილანისა და ჯენოას ყოფილმა ფეხბურთელმა პოლიტიკური კარიერა „ქართული ოცნების“ რიგებში დაიწყო, 2017 წლიდან კი საქართველოს დედაქალაქის, თბილისის მერის თანამდებობას იკავებს. მანამდე კალაძე ენერგეტიკის მინისტრის თანამდებობაზე მუშაობდა, თუმცა მოსახლეობის ნაწილში ამ სფეროში მისი გამოცდილება ეჭვს იწვევდა.

კალაძე კიევის დინამოს დაცვის გამორჩეული წევრი იყო. კახა უკრაინულ გუნდში ანდრეი შევჩენკოსთან ერთად თამაშობდა, რომელსაც მოგვიანებით მილანში ისევ შეუერთდა. კალაძემ „როსონერის“ რიგებში 9 სეზონი გაატარა და ყველა დროის ყველაზე ძვირადღირებული ქართველი ფეხბურთელი გახდა, როდესაც მილანმა კიევის დინამოს მის სანაცვლოდ 16 მილიონი ევრო გადაუხადა.

მილანის რიგებში ასპარეზობას კალაძის კარიერის საუკეთესო მომენტები უკავშირდება. 2003 და 2007 წლებში ქართველი მცველი ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული გახდა, სამშობლოში კი გმირად იქცა და დღემდე რჩება ერთადერთ ქართველად, რომელსაც ევროპის ყველაზე პრესტიჟული საკლუბო ტურნირი აქვს მოგებული. ეჭვგარეშეა, რომ სპორტულმა მიღწევებმა და პოპულარობამ, რომლითაც კალაძე სამშობლოში სარგებლობდა, მისი პოლიტიკური კარიერის წარმატებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა.

ქართველი მცველი იტალიური გრანდის ერთადერთი წარმომადგენელი არ არის პოლიტიკურ ასპარეზზე. მილანის კიდევ ერთი ფეხბურთელი, რომელმაც პოლიტიკაში გააგრძელა მოღვაწეობა, ჯოვანი რივერაა და 1986 წლიდან ევროპარლამენტის წევრი გახლავთ. საინტერესოა, რომ რივერას პოლიტიკური კარიერა საფეხბურთოზე გაცილებით ხანგრძლივი გამოდგა. მშობლიურ ალესანდრიაში გატარებული ერთი სეზონის შემდეგ რივერამ მილანში 19 წელი გაატარა. პოლიტიკურ ასპარეზზე კი იტალიის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი ნაკლები ერთგულებით გამოირჩეოდა და 5 პარტია გამოიცვალა.

ყველაზე მაღალ პოლიტიკურ თანამდებობაზე კი მილანიდან ჟორჟ ვეა აღმოჩნდა. ლიბერიელი როსონერისთან ერთად ორჯერ გახდა იტალიის ჩემპიონი, 1995 წელს კი „ფრანც ფუტბოლისა“ და ფიფას ვერსიითაც მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად დასახელდა.

ვეამ კარიერა 2003 წელს დაასრულა, 2005 წლიდან კი მშობლიური ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩაერთო. თუმცა მისი დებიუტი წარუმატებელი გამოდგა – ვეა საპრეზიდენტო არჩევნებში დამარცხდა. მილანის ყოფილმა შემტევმა საპრეზიდენტო არჩევნებზე ბედი კიდევ ერთხელ 2018 წელს ცადა და გამარჯვებაც მოიპოვა.

წარმატებული და შედეგიანი საფეხბურთო კარიერის დასრულების შემდეგ „ოქროს ბურთის“ კიდევ ერთი მფლობელი რომარიო ბრაზილიურ პოლიტიკაშიც მნიშვნელოვან როლს თამაშობდა და რამდენიმე პარტიაც გამოიცვალა. რომარიომ 2014 წელს ბრაზილიის ოპოზიციის დიდი ყურადღება მიიპყრო. რომარიო კოლეგებთან ერთად ბრაზილიაში მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარებას აპროტესტებდა და ამტკიცებდა, რომ დიდი საფეხბურთო ფორუმი ქვეყანაში კორუფციის ზრდასა და ფულის გათეთრებას შეუწყობს ხელს.

2014 წელს რომარიო ბრაზილიის სენატში აირჩიეს – რიო დე ჟანეიროს შტატის ისტორიაში ამომრჩეველთა ხმების სარეკორდო რაოდენობა მიიღო.

წარუმატებლად განვითარდა თურქული ფეხბურთის ლეგენდის ჰაქან შუქურის პოლიტიკური კარიერა. გალათასარაის, ბლექბერნის, ინტერისა და პარმას ყოფილი ფორვარდი, რომელსაც მშობლიური ქვეყნის ეროვნულ ნაკრებში 112 მატჩში 51 გოლი აქვს გატანილი, სადღეისოდ ამერიკაშია და ტაქსის მძღოლად მუშაობს. ამის მიზეზი ის არის, რომ მისი პოლიტიკური შეხედულებები თურქეთის მთავრობის პოზიციისგან რადიკალურად განსხვავებულია.

არადა, შუქური პოლიტიკურ მოღვაწეობას სწორედ ერდოღანის პარტიაში იწყებდა. ამჟამად ვეტერანი ფორვარდი თურქეთის ხელისუფლების მიერ იძებნება. მას ბრალად ფეთულა გიულენთან თანამშრომლობა და სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა ედება.

## სამგლოვიარო განცხადებები



გარდაიცვალა ცნობილი ჟურნალისტი, მეცენატი და საზოგადო მოღვაწე

### ციცინო ბოჭორიშვილი

იგი დაიბადა 1946 წელს სოფ. ზოდში (ჭიათურის რ-ნი). თბილისის ალ. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიური ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, 1966-86 წლებში, მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში ჩამოაყალიბა და ხელმძღვანელობდა ახალგაზრდა ჟურნალისტთა და ნორჩ შემოქმედთა კლუბ „ივერიას“, სადაც არაერთი თაობა აღზარდა. ახალგაზრდებს შეაყვარა საქართველოს სხვადასხვა კუთხე, სადაც ექსპედიციებს ატარებდნენ და შემდგომ სპეციალურ გვერდებს ამზადებდნენ: „ახალგაზრდა კომუნისტში“, „სოფლის ცხოვრებასა“ და რაიონულ გაზეთებში. სასახლეში აწყობდა შეხვედრებსა და სხვადასხვა ღონისძიებებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია დიდ მწერალ კონსტანტინე გამსახურდიასთან შეხვედრა, რომელიც პრესამ და ტელევიზიამ გააშუქა.

1989 წელს დააარსა საქართველოს ჟურნალისტთა დამოუკიდებელი ასოციაცია, რომლის ერთ-ერთი დამფუძნებელი მერაბ კოსტავაც გახლდათ. უშვებდა ლიტერატურულ-პუბლიცისტურ გაზეთს „ხმა ერისა“, აღადგინა საყმაწვილო გაზეთი „გიმნაზიის ყვავილი“, სადაც არაერთი ნიჭიერი მოზარდი გამოვლინდა. მასში შუქდებოდა განათლების სისტემასა და სკოლებში არსებული პრობლემები და რეფორმები. გამოსცემდა ინგლისურენოვან გაზეთ „ჯორჯიას“. იგი იყო საქართველოსა და სსრკ ჟურნალისტთა კავშირი წევრი, პუბლიცისტური წერილების ავტორი, შექსპირისა და „ოქროს კალმის“ პრემიების ლაურეატი, ავტორი ლექსების კრებულისა „სონეტები“. **განსაკუთრებულად აღსანიშნავია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის სახელობის პრემიის ლაურეატობა.**

ქალბატონი ციცინო გამოირჩეოდა დიდი ქველმოქმედებით. ჩაჰქონდა წიგნები თუშეთის, სვანეთის, ბარისახოს ბიბლიოთეკებში. იგი ყოველთვის იდგა ეროვნული ინტერესების სადარაჯოზე და აქტიურად იბრძოდა მარნეულის მიწების, სასაზღვრო ზოლის დასაცავად. ეხმარებოდა ქისტებსა და ხევსურებს მათი პრობლემების გადაწყვეტაში. ეხმარებოდა ბავშვთა სახლებს, ჩუქნიდა ტელევიზორებს, სათამაშოებსა და პროდუქტებს. მარნეულში ჟურნალისტებს აჩუქა სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთები.

ქალბატონმა ციცინომ დააარსა საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „გზა მომავლისკენ“. მისი ინიციატივით მწერალთა სახლში 2017 წლის 22 დეკემბერს ცნობილი პოეტები და საზოგადო მოღვაწეები დაჯილდოვდნენ ილია მართლის, ვახტანგ VI-ის, ვაჟა-ფშაველას, ილია ჭავჭავაძის პრემიებით. წელს, 2 ივლისს, ახალი პრემია „ოქროს კალამი“ გადასცა უხუცეს მეცნიერ სიმონ არველაძესა (ქუთაისში მისი 100 წლის იუბილეზე) და ცნობილ პოეტ ტარიელ ხარხელაურს. ჰქონდა შეხვედრა და მისი ლექსების კრებულის „სონეტების“ განხილვა ქუთაისის უნივერსიტეტში. რიყეზე არსებული ჟურნალისტთა დამოუკიდებელი ასოციაცია ახალგაზრდა შემოქმედთა ნამდვილი თავშესაყარი გახლდათ. აქ უსასყიდლოდ ეთმობოდათ ახალგაზრდა ნიჭიერ მხატვრებს სამუშაო ადგილი, რომლებსაც სახელოსნო არ ჰქონდათ და პროფესიონალ მხატვრებად ჩამოყალიბდნენ. არაერთ მოქალაქეს დაუდგა მხარში უსამართლობის აღმოსაფხვრელად სასამართლო პროცესებზე, ხელისუფლების წარმომადგენლებთან თუ პრესაში გამოხმაურებით.

ქალბატონი ციცინო ბოჭორიშვილი ცნობილი პედაგოგი, ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე გახლდათ, რომელიც ენერგიასა და საკუთარ სახსრებს არ იშურებდა ქართული კულტურის, ახალგაზრდა შემოქმედთა, საზოგადოებრივი საქმიანობის განვითარებისა და ხალხის პრობლემების გადასაჭრელად. მისი ცხოვრება სამაგალითოდ დარჩებათ მომავალ თაობებს.

**საქართველოს ჟურნალისტთა დამოუკიდებელი ასოციაცია**
**საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „გზა მომავლისკენ“**

### თამთა და ლაშა მასხულიებს

ზღვა სინანულით ვუერთდები თქვენს ღრმა მწუხარებას ძვირფასი

**დედის**

გარდაცვალების გამო. მარადიული ნათელი ადგეს მის დედაშვილური სათნოებით სავსე უკვდავ სულს!

**პოეტი ნანა დარჩიაშვილი**

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება**
**ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**

## კორონავირუსი სანაკრებო ფანჯარას ასუსტებს



2022 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში საქართველო 2 სექტემბერს ბათუმში კოსოვოს ნაკრებს დაუხვდება. მეტოქეს ჯერ შემადგენლობა არ გამოუქვეყნებია, მაგრამ კოსოვო საქართველოში ერთ-ერთი ლიდერის, მილოტ რაშიცას გარეშე ჩამოვა.

საქმე ის არის, რომ კორონავირუსის შემთხვევების გამო დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის საერთაშორისო ცენტრს საქართველოც და კოსოვოც წითელ ზონაში ჰყავს შეყვანილი. შედეგად, ყველას მოუწოდებენ, რომ მაღალი რისკების გამო ამ ქვეყნებში არ იმოგზაურონ.

შედეგად, პრემიერლიგის კლუბებმა ანონიმურ კენჭისყრაზე მიიღეს გადაწყვეტილება, რომ სანაკრებო პაუზის დროს წითელ ზონაში შემავალ ქვეყნებში თავიანთ ფეხბურთელებს არ გაუშვებენ.

აქედან გამომდინარე, რაშიცა, რომელიც ნორვიჩის ფეხბურთელი მიმდინარე სატრანსფერო ფანჯრის დროს გახდა, ვერც ბათუმში და ვერც პრიშტინაში ვერ ითამაშებს.

სულ საუბარია 19 კლუბის 60 ფეხბურთელზე, რომელთაც, კალენდრის გათვალისწინებით, წითელ ზონაში შემავალ 26 ქვეყანაში უწევდათ გამგზავრება. შეზღუდვა შეეხება როგორც ევროპის, ასევე სამხრეთ ამერიკის ქვეყნებს.

ინგლისური პრემიერლიგის მსგავსად, ესპანურმა ლა ლიგამ განაცხადა, რომ ყოველმხრივ დაეხმარება კლუბებს, რომლებიც გადაწყვეტენ, ხელი შეუშალონ თავიანთ სამხრეთამერიკელ ფეხბურთელებს ნაკრებებში გამგზავრებაში.

საქმე ის არის, რომ ფიფამ ცალმხრივად მიიღო გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც, კონმებოლს გუნდებისთვის სანაკრებო შეკრებების პერიოდი გახანგრძლივდა. ეს გადაწყვეტილება ფიფას მსოფლიო ლიგების ფორუმთან არ შეუთანხმებია.

ჯერჯერობით საუბარია 13 კლუბის 25 ფეხბურთელზე, თუმცა, როდესაც შემადგენლობებს ეკვადორი და ვენესუელაც დაასახელებენ, მათი რაოდენობა, სავარაუდოდ, გაიზრდება.

ამ საკითხთან დაკავშირებით ლა ლიგა საგანგებო თათბირს უახლოეს დღეებში მოიწვევს.

ერთია, ლა ლიგას არ უხსენებია ევროპული ქვეყნები, თორემ „შავ სიაში“ მოხვდებოდა ვალენსიის ქართველი მეკარე გიორგი მამარდაშვილიც.

ჯერჯერობით საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ სექტემბრის სანაკრებო პაუზაზე ბევრი ნაკრები ფეხბურთელთა დიდ ნაწილს მოისაკლისებს.

საქართველოსა და კოსოვოს მატჩი კი უმაყურებლოდ ბათუმში, „აჭარაბეთ არენაზე“ 2 სექტემბერს, 20 საათზე დაიწყება.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

### შედეგები

**24 აგვისტო**

**ფეხბურთი**

**უეფას ჩემპიონთა ლიგა**

| | |
|---|---|
| ლუდოგორეცი-მალმიო | 2:1 |
| პსვ-ბენფიკა | 0:0 |
| ფერენცვაროში-იანგ ბოიზი | 2:3 |

### კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. მძიმე ტვირთების მცირე სიმაღლეზე ასაწევი მექანიზმი; 2. ბალახზე, ფოთლებზე შეყინული ცვარი; 3. ჩამქრალი ვულკანი თრიალეთის ქედზე; 4. უმაღლესი სათათბირო ორგანო ძველად საქართველოში; 5. ქართლსა და კახეთში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის ფრანგული ჯიში; 10. მდგომარეობა ჭიდაობაში; 11. პროგრესის მოწინააღმდეგე ადამიანი; 12. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი მამაკაცი; 15. სამფენოვანი მინა; 16. არგენტინის ნაკრებისა და „მანჩესტერ სიტის“ ფეხბურთელი; 17. აეროპორტი რომში; 20. კათოლიკე მღვდელი ბელგიასა და საფრანგეთში.

**თარაზულად:** 6. სხვისი აზრების, რწმენის შემწყნარებლობა; 7. სამშენებლო მინერალი, მოსაპირკეთებელი მასალა; 8. ერთმანეთში შეგროვილი ფულით ქეიფი ძველ თბილისში; 9. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 13. დაბალი ხარისხის თამბაქო; 14. კონიაკის მწარმოებელი ფრანგული ფირმა; 18. პრეზიდენტის რეზიდენცია რომში; 19. ქართული საქველმოქმედო ფონდი; 21. კახეთში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 22. იაპონური ელექტროტექნიკური კომპანია; 23. შემაგრებული ღვინო; 24. სახარატო ჩარხის მბრუნავი ლილვი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ჰესე; 2. უნაბი; 3. სპოკი; 5. ავღანი; 6. ლუციფერი; 9. დენონსაცია; 10. კოპიტნარი; 11. ბარისტერი; 14. გოა; 16. ასკანა; 18. საგა.

**თარაზულად:** 1. ჰუმუსი; 4. ანასეული; 7. ფანხიო; 8. კუპდარი; 12. ანეტო; 13. აგენტი; 15. ხილარი; 17. ჩაი; 19. სტენოკარდია; 20. ნაიკი; 21. ღამურა.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. საგურამო; 2. ოჯალეში; 3. ელისო; 4. თემშარა; 5. სანჩესი; 10. ლანგუსტი; 11. იანქოშვილი; 12. ღვეზელი; 15. ბურგუნდია; 16. მაიამი; 17. პალანგა; 20. დათვი.

**თარაზულად:** 6. სარაჯიშვილი; 7. დეგნანი; 8. ქრონიკა; 9. ჩაჟაში; 13. ლიდა; 14. მართვე; 18. უზუფრუქტი; 19. იანძი; 21. წაბლი; 22. უილისი; 23. მანდარინი; 24. ერისტიკა.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


26 აგვისტო

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 3.1305 | ევრო — 3.6765 |
| დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.2947 | 100 რუსული რუბლი — 4.2462 |

## ამინდის პროგნოზი 26 აგვისტოსათვის




## ფრენკი დე იონგმა ტრავმა მიიღო



ბარსელონის ჰოლანდიელმა ნახევარმცველმა ფრენკი დე იონგმა ტრავმა მიიღო და ის, სავარაუდოდ, ბარსელონის შემდეგ შეხვედრას გამოტოვებს, რომელსაც კატალონიელები ხეტაფეს წინააღმდეგ გამართავენ. ჯერჯერობით უცნობია, ზუსტად როდის დაბრუნდება მოედანზე დე იონგი და ეს, სავარაუდოდ, სანაკრებო შეხვედრების შემდეგ მოხდება. ჰოლანდიელი ნახევარმცველის არყოფნა ბარსელონისთვის დიდი დანაკლისია, რადგან ის ბარსელონის ერთ-ერთი ლიდერია.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## მამაკაცმა საყვარლის სახლში ერთი წელი ფარულად იცხოვრა და ქალის ქმარი დაჭრა



ამერიკის ალაბამის შტატის ქალაქ კრეოლაში გათხოვილმა ქალმა ფარულად ჩაისახლა საყვარელი და ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში მალავდა მეუღლისგან.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ქალის, სახელად ტრეისი რივსის ქმარი, ფრენკი, საკუთარ სახლში ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში ვერ ამჩნევდა უცხო ადამიანს. ქალი თავის საყვარელ მაიკლ ამაკერს ფარულად ამარაგებდა საჭმლით, ბუნებრივ მოთხოვნილებებს კი კაცი ცარიელ ბოთლებსა და ჭურჭელში იკმაყოფილებდა.

უცნობი მიზეზით რაღაც მომენტში ტრეისიმ ქმარს განუცხადა, რომ მათ სახლში უცხო ადამიანი შემოიჭრა. ამას შედეგად ორმხრივი სროლა მოჰყვა. ამაკერმა ფრენკი მკერდის არეში დაჭრა, ხოლო მან, თავის მხრივ, მოწინააღმდეგეს ფეხსა და იდაყვში მოარტყა ტყვია. ორივე მამაკაცი საავადმყოფოში იქნა გადაყვანილი.

პოლიციელ პოლ ბერჩის თქმით, ამაკერი და მისი საყვარელი ნარკოტიკული საშუალებების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდნენ. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ მის პრაქტიკაში ეს ყველაზე უცნაური საქმეა.

– ასეთ რამეს ჩემი 30 წელზე მეტი პრაქტიკის განმავლობაში აქამდე არასოდეს გადავწყდომივარ, – აღნიშნა ბერჩმა.

ამაკერს მკვლელობის მცდელობის, აკრძალული ნივთიერებების შენახვისა და შეცვლილი სერიული ნომრიანი ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ ფლობის ბრალდება წაუყენეს.

## იუმორი

•••

ერთი ქალი მეორეს ეკითხება:

– რაზე ოცნებობ?

– იმაზე, რომ ერთხელაც შევხვდები ფერიას, რომელიც ასი ათას დოლარს მაჩუქებს.

– და რატომ მილიონს არა?

– ეგ ხომ არარეალურია.

•••

მამაკაცი ქალაქის მერიის მაღალჩინოსნის კაბინეტში შედის, რომელსაც მაგიდაზე პატარა აბრები უდევს წარწერით: „მოწევა აკრძალულია!“ და „ქრთამს არ ვიღებ!“

მამაკაცი ეუბნება:

– მინდა, ერთი ბინა დავიმტკიცო, მაგრამ მასზე არანაირი კანონიერი უფლება არ მაქვს. რას მეტყვით, როგორ მოვიქცე?

ჩინოსანმა მაგიდიდან აიღო წარწერა „მოწევა აკრძალულია!“ და ეუბნება:

– მოდით, ჯერ გავაბოლოთ...

•••

ქმარმა ცოლი ცემა და სასამართლოში მოსამართლე ეკითხება:

– რატომ ცემეთ თქვენი მეუღლე?

– იმიტომა რომა ერთი წლის წინ ბეჰემოთი მიწოდა.

– მერე ერთი წლის მერე ცემეთ?

– ახლახან ვიყავი ზოოპარკში და ბეჰემოთი ვნახე, რასა ჰგამდა ის შობელძაღლი ისა...

•••

კაცს ღამით გზაში სეტყვამ მოუსწრო. ამ დროს გაიელვა.

– ჰო, გაუნათე, გაუნათე, არ ამაცილოს, – წამოიძახა კაცმა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ლაშა გელაშვილი „ნიჭიერში“ ბრუნდება



ილუზიონისტი ლაშა გელაშვილი სახალხო შოუ „ნიჭიერში“ ბრუნდება.

გასული წლის სეზონის გამარჯვებული პროექტში უკვე მესამედ გამოჩნდება.

ლაშა გელაშვილმა შარშან „ნიჭიერის“ შოუ სრულიად დამსახურებულად მოიგო, რადგან თავისი მაღალპროფესიული ილუზიური ნომრებით ჟიურისა და მაყურებლის მოწონება დაიმსახურა.

– წელს უფრო მეტი და საინტერესო საილუზიო ნომრები გელოდებათ, – აცხადებს ლაშა გელაშვილი.

„ნიჭიერის“ ახალი სეზონი შემოდგომაზე დაიწყება. შოუს შემოქმედებითმა ჯგუფმა მთელი საქართველო მოიარა და საუკეთესო კონკურსანტები შეარჩია.

პროექტის ჟიურის წევრებისა და წამყვანების ვინაობა ამ ეტაპზე უცნობია.

## ეკა კვალიაშვილი: „სადაც კოვიდპასპორტებს მოითხოვენ, იქ არ ვიმღერებ!“



მომღერალი ეკა კვალიაშვილი აცხადებს, რომ არ აპირებს იმ კონცერტებში მონაწილეობას, სადაც კოვიდპასპორტებს მოითხოვენ:

– სადაც მოითხოვენ კოვიდპასპორტებს, იცოდეთ, პირადად მე არ ვიმღერებ!

თქვენ, ჩემო კოლეგებო? მე ადამიანებს არ ვყოფ და არ ვასხვავებ! ჩემი მსმენელი ჩემი მსმენელია!

## წილკნის უძველეს ტაძარში კარი ამოქოლეს



საქართველოში ერთ-ერთ უძველეს წილკნის ღვთისმშობლის ტაძარში მრავალსაუკუნოვანი კარი ამოქოლეს და ცემენტით ამოლესეს.

სამწუხაროდ, ბოლო დროს ხშირია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე ჩადენილი ვანდალიზმის შემთხვევები. გამონაკლისი არც წილკნის ტაძარი აღმოჩნდა.

მომხდართან დაკავშირებით განმარტება კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს არ გაუკეთებია.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## მსოფლიოში ათი ყველაზე საზიზღარი კერძი დასახელდა



ერთ-ერთი ჩინური პორტალის მომხმარებელმა დაასახელა ის ათი კერძი, რომლებიც, მისი აზრით, ყველაზე გამაოგნებელია.

რეიტინგში მეათე ადგილზე აღმოჩნდა ისლანდიური ტრადიციული კერძი ჰაუკარლი, რომელიც წარმოადგენს გრენლანდიური პოლარული ზვიგენის ნაწილობრივ გახრწნილ ხორცს. ამ დელიკატესს ამიაკის მკვეთრი სუნი ასდის.

მეცხრე ადგილზე აღმოჩნდა შოტლანდიური დელიკატესი, რომელიც ცხვრის ნაწლავებისგან მზადდება. თავად კერძი არცთუ მადის აღმძვრელად გამოიყურება, ხოლო მისი მოხმარების შემდეგ ტუჩებზე რჩება რთულად მოსაშორებელი ცხიმის სქელი ფენა.

მერვე ადგილი ერგო ინდონეზიურ წვნიან პანიკის, რომელსაც ადგილობრივები ღამურებისგან ამზადებენ.

მეშვიდე ადგილზე გავიდა ეგზოტიკური ხილი დურიანი, რომელიც სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ტყეებში იზრდება და საშინელი სუნით ხასიათდება.

უგანდელების ტრადიციულმა კერძმა, შემწვარმა კალიებმა, მეექვსე ადგილი დაიკავა. აღსანიშნავია, რომ მომხმარებლებს კალიების მომზადების წინ მათი გასუფთავებისა და გარეცხვის იმედი არ უნდა ჰქონდეთ.

იტალიურ ყველ კასუ მარცუს ამ სიაში მეხუთე ადგილი მიეკუთვნა. მასში მომზადების დროს ყველს ბუზის მატლებს ამატებენ, რომლებიც კერძში რჩებიან სუფრაზე მირთმევის დროს.

ჩინეთში ფართოდ მოხმარებადი მტრედის ხორცი მეოთხე ადგილზე აღმოჩნდა და, ავტორის თქმით, ეს ფრინველები სისუფთავის სიყვარულით არ გამოირჩევიან.

მესამე ადგილი ერგო ტაივანურ ნამცხვარს, დამზადებულს ღორის სისხლის, ბრინჯის, ქინძისა და არაქისის ფქვილისგან.

ვიეტნამურმა გველის ღვინომ ამ სიაში საპატიო მეორე ადგილი დაიკავა. აღსანიშნავია, რომ მასში, გველის გარდა, შეიძლება ჩადონ მორიელი, ხვლიკი, ტერმიტები და პატარა ნიანგიც კი.

პირველ ადგილზე კი აღმოჩნდა აზიური კერძი ბალიუტი. ის წარმოადგენს იხვის კვერცხს, რომელსაც მასში ჩანასახს ჩამოყალიბებამდე ინახავენ. სინათლეზე გახედვის დროს ნაჭუჭის შიგნით დაინახავთ ნაყოფის ჩონჩხსა და ღინღლს.

მათი თქმით, ვინც აღნიშნული კერძი დააგემოვნა, მას გემო უკეთესი აქვს, ვიდრე გარეგნობა.

## იგუანამ იოგას ინსტრუქტორი მოთმინებიდან გამოიყვანა



ტვიტერის ერთ-ერთმა მომხმარებელმა გამოაქვეყნა ვიდეოჩანაწერი, რომელზეც ჩანს, თუ როგორ შეუშალა იგუანამ მას ხელი ვარჯიშში. აღნიშნული ვიდეო ვირუსული გახდა სოციალურ ქსელში და 3,3 მილიონზე მეტი ნახვა მოაგროვა.

ვიდეორგოლში ჩანს, თუ როგორ ზის იოგას ინსტრუქტორი წელგადაზნექილი და ხელებგაშვერილი. იქვე ახლოს მყოფმა იგუანამ მასთან მიირბინა და თითებზე ისე უკბინა, რომ სისხლი დაადინა. ქალი მაშინვე გამოვიდა მშვიდი მდგომარეობიდან და წამოიყვირა: „ვაიმე! მან მიკბინა ...თითზე!“. შემდეგ ის ცდილობს, ცხოველი დააფრთხოს და მას ქვიშას აყრის.

ვიდეოს მნახველთა უმრავლესობამ ქალს შეკითხვა დაუსვა, დაინახა მან თუ არა იგუანი მანამ, სანამ უკბენდა. აღმოჩნდა, რომ ის ათეულობით ხვლიკის გარემოცვაში ვარჯიშობდა.

მოგვიანებით ქალმა გამოაქვეყნა კიდევ ერთი ვიდეო, რომელშიც ცხოველების გარემოცვაშია გადაღებული. იოგას ინსტრუქტორმა ასევე აღნიშნა, რომ თითი სრულ წესრიგში აქვს. კბენის შემდეგ მას ექიმმა ანტიბიოტიკები გამოუწერა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ასტროპროგნოზი

### 26 აგვისტოსათვის



**ვერძი** – ნეგატიური დღეა. თავს ნურავის მოატყუებინებთ. ურთიერთობებში ორაზროვნება ჭარბობს. **კურო** – ვარსკვლავები მამაკაცებს დღეს სტუმრად წასვლას ურჩევენ. კეთილისმყოფელი და ჰარმონიული პერიოდია. **ტყუპები** – ეჭვების საფუძველი არ გაქვთ. მიენდეთ განსაკუთრებით გამახვილებულ ინტუიციას. გეგმები გეცვლებათ. **კირჩხიბი** – სიტუაციას არაადეკვატურად აფასებთ, ამიტომ ყველა მნიშვნელოვანი საქმე სამომავლოდ გადადეთ. **ლომი** – იყავით სამართლიანი, დაიცავით დაჩაგრული. თუ საჭიროა, კომპრომისზეც უნდა წახვიდეთ. **ქალწული** – საკუთარი პრინციპები დროებით გვერდზე გადადეთ და სხვისი ინტერესების გათვალისწინებით იმოქმედეთ. **სასწორი** – ახალი გატაცებები, ნაცნობობა, ურთიერთობების გაფართოება დღის დევიზია. იყავით დამოუკიდებელი. **ღრიანკალი** – შეცდომების გამოსასწორებლად შანსი გეძლევათ. მოთმინება და თავშეკავება დღეს სავალდებულოა. **მშვილდოსანი** – აქტიური დასვენება თქვენს ფსიქიკაზე დადებითად იმოქმედებს. საყიდლებზე წასვლა იღბლიანი იქნება. **თხის რქა** – ძალზე აქტიური და შემოქმედებითი დღეა. სიძნელეებს მარტივად გადალახავთ. **მერწყული** – გამოიჩინეთ სიბრძნე და სამართლიანობა. დაეხმარეთ მათ, ვისაც ეს თქვენგან სჭირდება. **თევზები** – აფორიაქებული ხართ. პესიმიზმი გიტევთ. სასარგებლოა ფიზიკური შრომა.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი

**შვეულად:** 1. უბანი ქუთაისში; 2. ჩარხზე დასამაგრებელი მრავალსაჭრისიანი სახარატო იარაღი; 3. ათცენტიანი მონეტა აშშ-ში; 5. თაღლითი ბანქოს თამაშში; 6. ქართველი საბავშვო მწერალი ქალი; 9. რაჭაში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 10. ერეკლე მეფის კარზე მოღვაწე სომეხი აშუღი; 11. ფიფას პრეზიდენტი; 14. დიდი ისტორიული პერიოდი; 16. ეგვიპტის ნაკრებისა და „ლივერპულის“ ფეხბურთელი; 18. ესკიმოსთა ყინულის ქოხი.

**თარაზულად:** 1. მოყავისფრო წინწკლები სახეზე, ხელებზე; 4. ნახევარკუნძული კასპიის ზღვაში; 7. შტატი აშშ-ში; 8. უილიამ შექსპირის ტრაგედია; 12. უძრავი ქონების დროებით დაქირავება; 13. წმინდანად შერაცხული ქართველი არქიმანდრიტი, თეოლოგიის დოქტორი; 15. სამონასტრო კომპლექსი ახალციხის რაიონში; 17. საყოფაცხოვრებო ელექტრონული ხელსაწყო; 19. პირობითი საიდუმლო ნიშნებით შედგენილი ტექსტი; 20. თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 21. ღვარძლიანი ადამიანის ძველი ქართული სახელწოდება.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

